მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

�გᲐᲛᲝᲜᲓᲘᲡ 1993 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜ

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ᲐᲠᲘᲚᲘ
ᲜᲘᲡᲐᲜᲘ
№4 (415)
(5776)
2016

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲫᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ, ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲛᲝᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲤᲔᲡᲐᲮᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ!



რობერტ ზინგერი თბილისში

თბილისში ერთდღიანი საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი რობერტ ზინგერი. მასთან ერთად თბილისში ჩამოვიდა კონგრესის მსოფლიოს ებრაული სტრუქტურების უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი ომრი სიგელმანი.

17 აპრილს რობერტ ზინგერი მიიღო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბ-მა დავით ჯალაღანიამ.

მინისტრის მოადგილე მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის აღმასრულებელ ვიცე-პრეზიდენტს ესაუბრა საქართველოში არსებულ სიტუაციაზე— ყურადღება გაამახვილა ვიზალიბერალიზაციის მოლოდინზე, საქართველოს ევრო-ატლანტიკურ ორიენტაციაზე, მოახლოებულ საქარლამენტო არჩევნებზე. ბატონი დ. ჯალაღანია შეჩერდა მრავალსაუკუნოვან ქართულ-ებრაულ ურთიერთობაზე, საქართველოს ებრაელთა წვლილზე ჩვენი ქვეყნის განვითარების საქმეში.

ბატონმა რობერტ ზინგერმა ისაუბრა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის მუშაობის პრინციპებზე: აღნიშნა,რომ კონგრესის მთავარი ამოცანაა იზრუნოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ებრაელობის უშიშროებაზე, ებრძოლოს ანტისემიტიზმს, დაიცვას ისრაელის სახელმწიფოებრივი ინტერესები — სწორედ ამ მიზნით მეკ-ის ხელმძღვანელობა ხშირად ხვდება ამათუიმ ქვეყნის ლიდერებს. ამ შეხვედრების მეოხებით მიიღწევა ყურადღების გამახვილება ასზე მეტ სახელმწიფოში მცხოვრები ებრაელობის ყოფაზე. ბატონმა რ. ზინგერმა ისაუბრა იმის თაობაზეც, რომ 2013 წელს, თუ რამ განაპირობა საქართველოს ებრაელობის მიღება მსოფლიოს ებრაელთა კონგრესში

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან შეხვედრაში მონაწილეობდნენ: მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ვიცე პრეზიდენტი, ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური საბჭოს წევრი, მწერალი გურამ ბათიაშვილი, ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური საბჭოს წევრი,საქართველოს ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის ხელმძღვანელი, ელენე ბერკოვიჩი და ომრი სიგელმანი.

ბ-ნი რ. ზინგერი შეხვდა ებრაული თემის წარმომადგენლებს: ხელოვნებათმცოდნეს, პროფესორ ლელა წიწუაშვილს, ივრითის შემსწავლელი ულპანის დირექტორს ლარისა ნამთალაშვილს,ევროპიელ ებრაელთარელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენელს დიმიტრი თაფლიაშვილს, ხესედ ელიაჰუს“ დირექტორს რევაზ შთაშვილე, მოინახულა თბილისის ებრაული სათემო სახლი, გაეცნო „ხესედ ელიაჰუს მუშაობის პრინპიპებს.

სტუმრები ეწვივნენ ქართველ ებრაელთა დიდ სალოცავს, სათამოს კი დაესწრნენ კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის სპექტაკლს „BEGALUT“

18 აპრილს ო. სიგელმანმა უსაფრთხოების თვალსაზრისით შეისწავლა ებრაული ორგანიზაციების შენობა ნაგებობები: ებრაელთა სათემო სახლი, „თიფერეთ ცვი“, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ- ეთნოგრაფიული მუზეუმი— აქ ესაუბრა მუზეუმის დირექტორს, გ. ღამბაშიძეს.

ისრაელელებმა გამოფენა „სიცოცხლის ხე“ ჩამოგვიტანეს

დავით ხანანაშვილი: „თითქოს დედასთან დავბრუნდი“

20 აპრილს შ. ამირანაშვილის სახ.ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში საქართველოში ისრაელის საელჩომ და ეროვნულმა მუზეუმმა გამართეს გამოფენა „სიცოცხლის ხე“.

ექსპოზიციაში წარმოდგენილი გახლდათ ისრაელის ვიზუალური არტ სტუდიის Alma Denura“ ს დავით ხანანაშვილის, ელენა ნემცოვას, ნატალია კულიკოვას, ალექსანდრე ენეკოს, რომან ბუტმანისა და ვადიმ მესკინის კანონიკური ილუსტრაციები.

შლომო ჰამელეხის იგავების მიხედვით სიცოცხლის ხე თორის სიმბოლოა. სწორედ ეს გახლავთ გამოფენის კონცეფცია.

დავით ხანანაშვილი გამოჩენილი ქართველი ფერმწერის ზურაბ ნიჟარაძის მოწაფეა. მან დავით ხანანაშვილი დაახასიათა როგორც ნიჭიერი პიროვნება. იგი ჩინებულად სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში.

გამოფენაზე წარმოდგენილი გახლდათ ანიმაცია „ხაი“—სიცოცხლე, რომლისთვისაც დავით ხანანაშვილმა და რომან ბუტმანმა შექმნეს ებრაული კალიგრაფიის 18 კანონიკური ვერსია. ბაბილონის დროინდელი გალუთიდან უახლოესი დროის შრიფტების ჩათვლით.

გამოფენა, რომლის გახსნაზეც სიტყვები წარმოსთქვეს ეროვნული მუზეუმის დირექტორის მოადგილემ მიხეილ წერეთელმა, ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში იუვალ ფუქსმა,ხელოვნებათმცოდნემ, პროფესორმა ლელა წიწუაშვილმა და ისრაელიდან ჩამოსულმა მხატვარმა დავით ხანანაშვილმა, ფესახის დღესასწაულს ეძღვნება.

ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტის მილოცვა

როგორც ცნობილია, უკრაინის რადამ ამ ქვეყნის პრემიერ მინისტრად დაამტკიცა ვლადიმერ გროისმანი — ებრაული ეროვნების უკრაინელი პოლიტიკური მოღვაწე.ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა იულიუს მაინლმა ვლადიმერ გროისმანს გულითადად მიულოცა ასეთ მაღალ თანამდებობაზე არჩევა და გამოსთქვა რწმენა, რომ მისი პრემიერ-მინისტრობა დადებით როლს ითამაშებს ამ ქვეყნის ებრაელობის ცხოვრებაშიც.

ახალი სპექტაკლი ებრაულ თემაზე

კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში განხორციელდა ახალი სპექტაკლი, რომელშიც ასახულია ებრაელი ხალხის ყოფა, ტრაგიზმით აღვსილი მოვლენები. ეს გახლავთ მწერალ გურამ ბათიაშვილის ახალი პიესა, რომელიც თეატრისავე ინიციატივით შეიქმნა: ,,BEGALUT-უცხოობაში“ (გამოყენებულია ზოგიერთი ფრაგმენტი შოლომ ალეიხემის ნაწარმოებებიდან).

სპექტაკლის რეჟისორი და სცენოგრაფი გახლავთ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ლევან წულაძე. სწორედ მას ეწადა შეექმნა განსხვავებული სტილისტიკის სპექტაკლი ებრაელი ხალხის ყოფაზე. და ასეც მოხდა — რეჟისორმა შექმნა სპექტაკლი დიალოგის, სიტყვის გარეშე, რაც ასე დამახასიათებელია თეატრალური ხელოვნებისათვის და ამით კიდევ უფრო გაართულა მსახიობთა ამოცანა — ამ სპექტაკლში მსახიობებმა, რეჟისორმა მონახეს სიტყვის, დიალოგის ნაცვალი გამოსახვის საშუალებები.

სპექტაკლის მუსიკალური ავტორია გამოჩენილი კომპოზიტორი და დირიჟორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ვახტანგ კახიძე, კოსტუმების მხატვარი ნინო სურგულაძე, ქორეოგრაფი— გია მარღანია.

ამ სტილისტურად ერთობ თავისებურ სპექტაკლში, რომელშიც გამოხატვის მთავარი საშუალება არა სიტყვა, არამედ მსახიობის ქმედება გახლავთ,როლებს ასრულებენ: გურანდა გაბუნია, გივი ჩუგუაშვილი, ბესო ბარათაშვილი, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, პაატა პაპუაშვილი, კონსტანტინე როინიშვილი, ნატო კახიძე, ანა გრიგოლია, თეონა ქოქრაშვილი, ნიკა კუჭავა, გიორგი ხურცილავა, ეკა ნიჟარაძე, ნინო წულაძე და ანა ვასაძე.

მაყურებელმა სპექტაკლი გულთბილად მიიღო.

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინისა და მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტის რონალდ ლაუდერის შეხვედრა

19 აპრილს მოსკოვში, კრემლში გაიმართა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის შეხვედრა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტ რონალდ ლაუდერთან.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ: მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი რობერტ ზინგერი, ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი, მეკ-ის ვიცე-პრეზიდენტი იულიუს მაინლი, რუსეთის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი, მეკ-ის ვიცე პრეზიდენტი იური კანერი და ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პირველი ვიცე პრეზიდენტი, მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილი.

შეხვედრის დასაწყისშივე რუსეთის პრეზიდენტმა თქვა:

ვლადიმერ პუტინი: პატივცემულო ბატონო ლაუდერ, ძვირფასო მეგობრებო, ნება მომეცით, გულითადად მოგესალმოთ მოსკოვში.

ჩვენ ერთმანეთს 2003 წელს შევხვდით. მსოფლიოს ებრაელთა კონგრესი ძალიან გავლენიან, ერთობ მნიშვნელოვან საერთაშორისო, არასამთავრობო საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რიგს განეკუთვნება.

რამდენადაც ვიცი, თქვენ უკვე 80 წელია არსებობთ და მთელ მსოფლიოში ებრაელთა მხარდასაჭერად ძალიან დიდ

საერო და რელიგიურ საქმიანობას ეწევით.

თქვენ იცით, რომ ჩვენ ძალიან მჭიდრო და რეგულარული ურთიერთობა გვაქვს ჩვენი ქვეყნის ებრაულ ორგანიზაციებთან, ასევე ახლო ურთიერთობა გვაქვს ევროპის ებრაულ ორგანიზაციებთან. რუსეთის ებრაულ ორგანიზაციებს არსებითი წვლილი შეაქვთ რუსეთის შიდასახელმწიფოებრივი სტაბილიზაციის საქმეში. ამის გამო ჩვენ დიდად მადლიერი ვართ ჩვენი მეგობრებისა.

იუდაიზმი ერთ-ერთია იმ ოთხ ტრადიციულ რელიგიათა შორის,რომელიც სხვა ტრადიციულ კონფესიათა თანაბრად ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მუდმივი მხარდაჭერით სარგებლობს.

ვიცი, რომ მალე თქვენი დღესასწაული იწყება— ფესახი (მე ვგონებ, ოცდაორ აპრილს)

ნება მომეცით, ვიდრე საუბარს დავიწყებდეთ, ყველას მოგილოცოთ მომავალი დღესასწაული.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

რონალდ ლაუდერი: დიდი მადლობა. ძალიან მოხარული ვარ რომ აქ ვიმყოფები.

ზოგჯერ ჩვე , ადამიანებს, გვავიწყდება ვთქვათ „მადლობა“ მაგრამ დღეს მე მინდა გითხრათ მადლობა ყველაფერი იმისათვის, რასაც თქვენ ებრაელი ხალხისათვის აკეთებთ. მაშინ როცა ჩვენ პირველად შევხვდით ერთმანეთს, ანტისემიტიზმის ტალღა ჯერ კიდევ ძლიერი გახლდათ—იყო თავდასხმები სინაგოგებზე, იყო ანტისემიტიზმი ოფიციალური პირებისა.

მაშინ ჩვენეს საკითხი განვიხილეთ და თქვენ აღმითქვით, რომ ამ ტენდენციას შეცვლიდთ.

თქვენ შეასრულეთ ის, რაც დამპირდით და რამდენადაც მე ვიცი, დღევანდელ რუსეთში ანტისემიტიზმის დონე მინიმუმამდეა დასული და ებრაული მოსახლეობა ძალიან კარგად ცხოვრობს. სინაგოგებშიც სიმშვიდეა.

თქვენი დახმარებით, თქვენი ძალისხმევით რუსეთში შეიქმნა მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ებრაული მუზეუმი. მე ამ მუზეუმის მმართველობის წევრი ვარ და უნდა გითხრათ, რომ ყველას მოვუწოდებ, ეწვიოს ამ მუზეუმს, ყველას ვეუბნები, რომ ეს არის საუკეთესო მუზეუმი.

და რამდენადაც მე რუსეთის მთავარი რაბინის ბერლ ლაზარისაგან მესმის, რუსეთის ებრაელობის ცხოვრება უფრო და უფრო უმჯობესდება და ეს მაშინ, როცა დღევანდელ ევროპაში ანტისემიტიზმი ძლიერდება.

ამიტომაც მინდა, კიდევ ერთხელ ვთქვა: მოხარული ვარ აქ რომ ვიმყოფები და ვხედავ ყველაფერ იმას, რაც თქვენ გააკეთეთ.

ახალციხის ბეით ქნესეთის საიუბილეოდ

სანახევრონი რაჭათა ერთგულთა ყოფილთადან ფრაგმენტები

დავით ბოთერა - ბოთერაშვილი
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

ღრმად პატივცემულო მეგობრებო,

ჩემს თავაზიან მიმართვას, გთხოვთ, განსაკუთრებულ ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ვინაიდან, უბრალოდ, ასეთი თვისება მახასიათებს და ვაღიარებ, რომ უამრავ ურთიერთობებში, მსგავსი თავაზიანი ფორმით მიმართვა, მრავალთათვის გაუგებარიც კი რჩება, მაგრამ სხვაგვარად არ მძალუძს, ალბათ იმიტომ, რომ მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ჩემი ბალღობა ტალახიან ახლციხეში, ერთ ერდოან სახლში გავატარე, მთელი ჩემი რესოციალიზაციის პროცესის გავლა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მიხდებოდა, სადაც უნებლიედ გავითავისე და აღვითქვი უცხოური საზოგადოებების კულტურული ღირებულებანი...

ერდო

... ხო, "ერდო", როგორც მოვიხსენიებდით ჩვენ იმ ერდოან სახლს, რომელიც, თვით იმდროისათვისაც კი, ბოლო და ერთადერთი შემორჩენილიყო მთელი ახალციხის მასშტაბით ქართული ხუროთმოძღვრების კულტურულ მემკვიდრეობაში და რომელშიც მთელი ჩემი, სილაღითა და მშვენიერებით აღსავსე, აზრიანი და დაუვიწყარი ბავშვობა გავატარე...

პაპაჩემი, დედაჩემის, ეთერის მამა, ქუთაისის საპნისა და სანთლის გადამამუშავებელი ქარხნის მეპატრონე, 1921 წელს, ანტიბოლშევიკური მოძღვრების ბრალდებით, ისევე როგორც სხვა მრავალი, არისტოკრატიული წრის წარმომადგენლები, რომლებიც არსებული ხელისუფლების მიერ აღქმულნი იყვნენ, როგორც დაპირისპირებული მხარე, ახალციხეს გადაასახლა საბჭოთა ხელისუფლებამ და ბინად, დავით გურამიშვილის ქუჩის მე-2-ე 19 ნომერში მიუჩინა ერდოანი სახლი, ხოლო სამამულო ომის დასრულების წინა პერიოდში კი, იგი ქუთაისის საპატიმროში იქნა გამწესებული, სადაც ქაშერი საკვების უქონლობის გამო, 1952 წელს დაქვეითებული იმუნიტეტითა და კვების უკმარისობით, ციხეშივე გარდაიცვალა...

... ერდო, რომლის ზღურბლებსაც ვიწრო ბაკებში ჩაჰყავდი, სადაც მარჯვნივ ორი ლახანკა, ერთი „უმივსლნიკით“ დაბანის, მეორე კი, ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების დანიშნულების მატარებელი იყო და რომლის გასწვრივადაც, მუდმივ, ორიოდე საპალნე ნედლი შეშა, ერთი დუჟინა ტალექი და ფინჯანი, ორი ქაფჩა, როდინის ქვა, უხლავი, ფერადი ყადიფები და ფითილები ეწყო ჯაგრისის კოჭებთან და ბურნაოთის კოლოფებთან ერთად, რომელთა საყრდენზეც, ჩემი და ჩემი ბიძაშვილის, ბინკოს დათოს მიერ თვითნაკეთი ბრინჯაოს „სამაგაჩკა“, ციგა და სარეცხის ორი გრძელი კეტი იყო მიყუდებული, გვერდით კი, ბაბოჩემის მიერ მოხდილი, პიტნის არყით სავსე ბოცები იყო განლაგებული; ხოლო ბაკების მარცხენა მხარეს, ტაბურეტზე დადგმული, თითბერის ჭრაქი ანათებდა, თუნუქის ქვაბი კი, ნავთის ქურაზე — „კერესინკაზე“, იყო შემოდგმული, რაშიც ბაბოჩემი, გეოთ რახელა, უამრავ სურნელოვან კერძებს შორის, ფაშვბუმბარს, ჩანახს, ყაურმას, ყაზანგუფთას, ხოლო შაბათობითა და სადღესასწაულოდ კი, ყალიასა და შეჭამანდს ამზადებდა... ყველაზე მეტად, ჩიჩილის ხაჟუჟი, ყარფუზის მურაბა, თათარბორაგი და ნიახურით შეკმაზული პამიდვრიანი და განსაკუთრებით კი, ლახნისა და ვაზის ტოლმის დაგემოვნება მიყვარდა...

ის ერთადერთი ოთახი, რომელშიც ბაკები ვიწრო კარებით გადადიოდა, ჩემთვის, ჩემი უფროსი დისთვის, ნანულისათვის, დედაჩემისთვისა და ბაბოჩემისათვის, სალონიც იყო, საძინებელიც, სამუშაო ოთახიცა და სტუმრების მისაღებიც...

ოთახს, ზენიტში, უფარდებო და უდარაბო სარკმელი ჰქონდა, საიდანაც ერდოში დღის სინათლე შემოდიოდა. სარკმლის გასწვრივ კი, საზამთროდ, ბაბოჩემის მიერ საგანგებოდ დამზადებული, მარლის ჭილოფში გახვეული, უგემრიელესი იხვისა და ბატის აფოხტები იყო ლანგარზე ჩამოკიდებული, რომელიც სანამ სათანადოდ არ გახმებოდა, მხოლოდ მისი სურნელით გაძღომასღა ვყაბულდებოდით...

... ნედლადვე, რკინის ჟეშტით დამზადებულ ღუმელში შეკეთებული შეშა, გუგუნით გიზგიზებდა, რომელსაც ბაბოჩემი ანთებდა გარიჟრაჟისას, სისხამ დილით ალიონზე, ხოლო „ფეჩის“ მარცხენა ყუაში, კარტოფილი და ბიჟები იფიცხებოდა, რომლებიც, სანამ სიდამწვრის კვამლს არ გამოუშვებდნენ ერდოს შუაგულში აღმართულ ფეჩის „ტრუბის“ ნაპრალებიდან, მანამ, მხოლოდ ნიკელის პრუჟუნებიან ლოგინში, ბაფთებით მოქარგული, მატყლის თეთრ, ქათქათა ზეწარში გახვეულ საბანს ქვეშ ჩაფუთნულებს, რომელიც კვირაში მინიმუმ ერთხელ მაინც, უთუოდ კრახმალში ირეცხებოდა, ჩაღუღუნებულნი, ავდგეთ! - არ ვარგა!-ს ძახილში გაგვყავდა დრო და ბოლოს, - ავდგეთ!, - ვარგას!, რომ დავიძახებდით, წამოვცვივდებოდით ზეზე და დედაჩემს მარილის მოყრასაც, კი არ ვაცლიდით მე და ნანა, ისე შემოვუცუცქდებოდით კალთაში ჩახუტებულნი, იმის იმედით, რომ დედა, ან, უფრო დიდ ულუფას, ანდაც, უფრო კარგად შეპრანკულს, პირველს გაგვინაწილებდა და „ფეჩის“ ზედაპირზე, მაშით ჩარგვ გადადგმულ მოგუზგუზე, ღია ცეცხლზე, თუჯის ჩაიდანში ადუღებული და ფინჯანში დაყენებული ჩაის, ნატეხი შაქარით, ანდაც შაქარყინულით "კრიპუსტად" რომ ვსვავდით, პირველს ჩამოგვისხავდა „კრუშკაში“...

ღუმელის წინ, ძველი, დიდი სარკით აღჭურვილი მოყავისფრო ტყავის მდივანი და კარადა იდგა, „ფეჩს“ უკან კი, ორი დოლაბი იყო კედელში ამოკვეთილი, სადაც ჩემი დიდი პაპის, სრულიად საქართველოს ებრაელთა მთავარი რაბინის, ხახამ ყიმანუელ ბოთერაშვილის მიერ ნაანდერძევ, უძველეს თორებთანა და ანტიკურ ბერძნულ და თანამედროვე ლიტერატურის კრებულებთან ერთად, ჩემი, სინით ცხვრის ტყავზე ლეიმაბმული ნაჩარი "კუშარებიც" ინახებოდა, რომლით აკინნვლაც, ბუჩულისა და ჯარობანას თამაშის, ისევე როგორც, ერთ ვეებერთელა ჩემოდანში ჩაპრესილი ათასობით ათიათას მანეთიანი ოქროს ობლიგაციების ბანკნოტების დათვლისა და ნანას სასკოლო სახელმძღვანელოებში ცნობისმოყვარე კირკიტის გარდა, ყველაზე მეტად მიტაცებდა. ბაბოჩემის, გეოთ რახელას გადმოცემით, ჩემი დიდი პაპის, ხახამ ყიმანუელ ბოთერაშვილის უამრავ შეგირდებს შორის, ნიჭით გამორჩეულნი, მაინც, ყალავაშალომ, მოშეა კატანი, ხახამ ყიმანუელ დავარაშვილი, ხახამ იეჰუდა ბოთერაშვილი, და განსაკუთრებით კი, რები დობერი ბრძანდბოდნენ

რაოდენ საოცრადაც გინდა ჟღერდეს, ჩვენს უბანში, ჩვენ პირველი ოჯახი ვიყავით, ვისაც რადიო, პატეფონი და ყოვლად დაუჯერებელია, მაგრამ "რუბინ"-ის ფირმის კომბინირებული ტელევიზორი გვედგა "სახლში", რომლის გამართვაც, ერდოს მარსანდაზე, ხუთი მეტრის სიმაღლის ანძის მონტირებას საჭიროებდა დაცდილი ხელოსნების მიერ, რაც თავისთავად ერთგვარ ატრაქციას დასახავდა და გარშემორტყმული მეზობლების უზადო ცნობისმოყვარეობას იწვევდა დაჟინებით...

ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ ჩემი ერდო, როგორც უკვე მოვიხსენიე, თვით იმდროისათვისაც კი, ერთად ერთი ერდოანი სახლი იყო მთელს ახალციხეში, რომელიც საერთოდ შემორჩენილიყო და იმ ერდოს ზღურბლებს მიღმა, გარეთ, მარჯვენა მხარეს, ხის სარკმლის ქვეშ, საკოცონეს გასწვრივ, რიყის ქვებით შემორაგული ღობე ჩასდევდა გარესამყაროსაკენ მიმავალ ბილიკს, ხოლო მარცხნივ კი, ათიოდე საჟენი მიწის ნაკვეთი ჩვენი ოჯახის საკუთრებაში, სადაც, ლობიოს, სიმინდსა და ხორბალს ვთესდით მე და ნანა და სადაც, პირველად ვეზიარე მიწის მეურნეობის საიდუმლოებას, როდესაც თესლის გაღვივებისა და ყლორტის აღმოცენების ბუნებრივ ციკლს, სხვლის დარადანვე ვადევნებდი თვალყურს, რისი მეშვეობითაც სიცოცხლის არსში ჩაწვდომას ვლამობდი და ვისაც სონა ტოტას ხელით, იმ სამიოდე კვადრატული მეტრის ფართის მიწის ნაკვეთზე მომკული ხორბლისაგან დამზადებული ბადამბური, შაქარლამა, ან ხანუქის დღესასწაულში, ზეითუნის ფუფქ ზეთში ამოცხობილი ლუხმა და ყაიღანა არ დაუგემოვნებია, მას ვერ სძალუს განსაზღვროს, თუ რა ძალა აქვს, ფხვიერი ნამცხვარისა და ნობათისაგან განცდილ სურნელებასა და არომას, ანდაც მისივე უნიკალური გემოებით გამოწვეული სიამოვნების სიმძაფრეს, რომელსაც სონა ტოტა საკოცონეზე, გამხმარი ვაზის ტოტებით დანთებული ცეცხლის ალში, თიხის ღრმა კეცზე აცხობდა...

სონა „ტოტა“

... და არ არსებობდა ისეთი დაავადება, ან ავადმყოფი, რომლის განკურნვაც, ბუჟოთ სონას მიერ სარაველებით დამზადებულ მალამოს ვერ შესძლებოდა... სონა ტოტა, როგორც მე მას ვუწოდებდი, ოთხმოცდაათ წელს გადაცილებული და მაინც წარმოუდგენელი ხიბლითა და სილამაზით შემკობილი მანდილოსანი ბრძანდებოდა, ხოლო მისი ზღვისფერი, ელვარე, მბურღავი და თანაც აზრიანი თვალების მზერას, ფეხის თითებშიც კი იგრძნობდი კაცი...

სონა ტოტა, თურმე, ყმაწვილობიდან ბაბოჩემის ძმას, ბინიას ჰყვარობდა, რომელიც იატაკქვეშეთში მეფის რუსეთს ებრძოდა... სონა ტოტა დიდგვაროვანი ვაჭრის ოჯახში იზრდებოდა და მის სახლში შემდგარ, ვაჭართა კრებებზე დაგეგმილ განზრახვებს, მეწუღე ტიგრანას მეშვეობით, ბინიას აუწყებდა, ბინიას ატამანობით კი, ანარქისტთა ჯგუფი ტყეში დახვდებოდა ვაჭრებს და როგორც სონა ტოტა იტყოდა, "ალაგზევე, ხელს დააბანინებდა" მათ...

სწორედ ბინიას უსწავლებია სონა ტოტასათვის ფრანგულ, რუსულ და გერმანულ ენებზე წერა-კითხვა და ბინიასვე უზიარებია სონა ტოტასათვის მარქსის, ოივენის, ფურიერის, კამპანელას, მორუსის, სენ სიმონის, ბაირონისა და სხვა მრავალი გენიალური მოაზროვნეების იდეები, რომელთა კრებულების ორიგინალური ასლებიც, სათუთად შემოენახა სონა ტოტას და ყოველდღიურად მიკითხავდა... - "ბინის გვერდში, თვით უღრან ტყეშიც ბილა არ მეშინოდა შუაღამეთაც კიო", მეტყოდა ხოლმე სონა ტოტა...

ერთ დღესაც, ტიგრანას, სონა ტოტასთვის ამბავი მიუტანია: ჟანდარმერია ტყეში გახიზნულ ანარქისტებს დასცემია თავს და ყველანი დაუხვრეტიათ და შემდეგ ხეზე ჩამოუკიდავთ... მათს შორის, მისი ბინიაც... ორი დღის შემდეგ, საქართველოშიც აფრიალებულა სახელმწიფო დამოუკიდებლობის დროშა... სონა „ტოტა“, ვინმე მდიდარ მესაკუთრეს, თბილისის ბორდელების მეპატრონეს, აბნელას გააყოლეს ცოლად, რომელიც სონაზე ორმოციოდე წლით ხნიერი ყოფილა და რომელიც, რევოლუციის შემდგომ პერიოდში ციმბირს გაამწესეს ბოლშევიკებმა, სადაც იგი, იქვე გარდაცვლილა... მათი ერთად ერთი ვაჟი, დავითი, მეორე სამამულო ომში დაიკარგა... სონა „ტოტასთვის“ მე, ბინიასადმი დიდი სიყვარულის ნუგეშიც ვიყავი და დავითის ხსოვნის ერთადერთი იმედიც... ჩემს სანახავად სონა „ტოტას“, რაბათშიც კი ამოუკითხავს ხოლმე, ანუ როგორც თავად იტყოდა: "უსულ უსულ ჩამოჩლახუნდებოდა"...

... მახსოვს, სონა „ტოტას“ ბაგეზე, მხოლოდ ერთხელ იდენა ცრემლმა, აი მაშინ, პირველი კლასის ფრიადოსნობის მოწმობა, მეგის ჩემდამი სიამაყის გრძნობით მოპყრობილი თვალების მზერით დაჯილდოვებულმა, რომ ავურბენინე სულმოუთქმელად და დიდის ამბით, რომ წარმოვუდგინე... "ახლა, რაღა ჭირი მიყომს ხელსა"ო...

... ერთ სანახაობადა ჰღირდა, ზამთარში, სონა ტოტას ფანჯრის დარაბაზე, რიგრიგობით შემომჯდარი ბეღურების ხილვა, თუ როგორი წესრიგის დაცვით უთმობდნენ, დაპურებული ბეღურები, მათს შემდგომ, რიგში მოჟივჟივე ბეღურებს ადგილს დარაბაზე, რომელზეც სონა ტოტა სისხამ დილიდან, ფანჯარაში გადმოყუდული უყრიდა მშიერ ბეღურებს საკენკს რიგრიგობით...

ჩემს მონათხრობში, თვითოეული სიტყვა, სრულ სინამდვილეს ესაბამისება და რაოდენ საოცრადაც გინდა ჟღერდეს, თვით აბნელა ძიაც კი, ავთენტური სახელი და ნამდვილი ისტორიული პერსონაჟია...

... ბინიას, სონა „ტოტა“, ერთხელ პირადად, თვით ლენინთან შეხვედრაზეც კი წაუძღვანიებია. "რ"-ს მაგივრად, "ლ"-სა ხმალობდაო, მეტყოდა ხოლმე სონა „ტოტა“, მისთვის ჩვეული ღიმილით, რომელსაც, ლენინის, მარქსის, ენგელსის, სტალინისა და ბინიას პორტრეტები ერთ დიდ ფერად ტილოზე ამოექარგა საგულდაგულოდ ხალიჩასავით მკაფიო ფერებში და იდუმალებით მოცულ გარემოცვაში, კედლებს შორის ჩატანებულ სუნდუკში ინახავდა, რომელიც ათეულობით კილოგრამი ოქროთი და ბრილიანტის სამკაულებით იყო გაპიქინებული და რომლის ადგილსამყოფელსაც, სონა „ტოტას“ გარდა, მხოლოდ მე ვუწყიდი...

ებრაელების უბანში, სონა „ტოტას“, ყველა "კუდიანს", ანუ ჯადოქარს დასძახდა და ყველას შიშის ზარსა სცემდა მასთან გზად გადაყრა და ისიც, თავის უზარმაზარ ციხე-სიმაგრეში, ცარიელტარიელ კედლებს შორის მარტოდმარტო გამოკეტილი იჯდა და წიგნების კითხვით, ქსოვით, ანდაც, მალამოების დასამზადებლად, მცენარეების დახარისხებით იქცევდა თავს, მას შემდეგ, რაც ბეღუ-

რებს უკვე დააპურებდა...

მთელს ჩვენს უბანში ერთად-ერთი ექთანი, ნუგზარას ანუ, სიმსუქნის გამო, ზედმეტსახელად, ღორღორას დედა, რივა ექთანი ცხოვრობდა... ადგილობრივი ხელისუფლება არ იჩენდა განსაკუთრებულ ყურადღებას უბანში მობინადრე მოსახლეობის მიმართ, არც კომუნალური პირობების გაუმჯობესების კუთხით, არც პიროვნების დაცვისა და არცა სამედიცინო მომსახურეობის მხრივ, რის გამოც, უბანში ადამიანების დაავადების შემთხვევაში, პალიატიური მკურნალობის მიზნით, სონა „ტოტას“ მიერ სათადარიგოდ დამზადებული მრავალდანიშნულების მქონე მალამოები და აბები, ერთად-ერთ საშუალებას დასახავდა უბნის მოსახლეობის ჯანდასაცავად, რომელსაც რივა დეიდა, ექთნის ამპლუაში დამავალებდა საგანგებოდ შემეკვეთა სონა „ტოტასთან“ შესაბამისი წამალი და როდესაც სონა „ტოტას“ მიერ მცენარეებისგან, ადგილზე, სახელდახელოდ დამზადებულ წამალს ავადმყოფის ახლობლებს ხელში გადავცემდი, მათი კურთხევათა რიტუალის სეირი უნდა გენახათ, ჯერ ჩალის ფოჩებიან ცოცხს ზღურბლებზე დაბერტყავდნენ, შემდეგ ავადმყოფს სამჯერ თავს ირგვლივ შეუღლოცავდნენ და შემოავლებდნენ საათის საწინააღმდეგო მიმართულებით, ზედ სამჯერ დააფურთხებდნენ გაუგებარი ტექსტის ბუტბუტით და მხოლოდ ამ რიტუალის დასასრულს ასხურებდნენ, ან უსვამდნენ ავადმყოფს, იმ მალამოს, ანდაც საცხებელ სამკურნალო წამალს, რომელიც სონა „ტოტას“ მიერ იყო დამზადებული და ყოველგვარი ანგარების გარეშე, ხალხის საკეთილდღეოდ გაღებული და რომელსაც, სანამ სონა ტოტას სახლის კარიბჭეს დავტოვებდი და ავადმყოფისკენ მიმავალ გზას დავადგებოდი, სონა „ტოტა“ ლოცვა-კურთხევას დაადევნებდა: "ეამოს, შეარგოს და ეყაბულოს მაგ გაჭირვებულსაო"...

რაბათის ებრაელობა

... რაბათის უბანი ყველაზე ჟრიამული და მომხიბვლელი ხანუქისა და ფურუმის დღესასწაულებში იყო, განსაკუთრებით, თუ მათი თარიღები შობისა და აღდგომის დღესასწაულებსაც ემთხვეოდა, რადგან მთელი უბნის ქალები, ჯერ კიდევ ერთი კვირით ადრე სადღესასწაულო სამზადისს აყენებდნენ და ნაშუადღევს ბანჩალათ ჩუკიასა და ქეჯენიენთ მირაბას სახლებს შუა გადაჭიმულ მდელოზე იკრიბებოდნენ, სადაც ხინკლის ვახშამზე დანიძლავებულები გამუდმებული შეძახილებითა და ფილაფოზურ სიცილ-ხარხარში ჩაშკობანას თამაშით იკლებდნენ მთელს გარემოს. "აშურა, მაშურა, ჩემი ოქროს ბეჭედი, ჩემსკენ გადმოაშურა!", ისმოდა ქალების შეძახილები; ვის არ ნახავდით ამ სახელდახელოდ გაწყობილ გრძელ სუფრებზე, იქ იყო: ქოსათ მორდეხას ცოლი ნათელაი, ლალოთ სონიკოი, შაოთ ხაისარაი, კონცოლათ სიკაი, ფიტიმათ სიმაი, ქოსათ ბესას ცოლი ყვითელათ სიმხაი, ქორბინოთ აშერას ცოლი თამარაი, კოჭლოთ ისაკოს ცოლი ზილფაი, იაღლოთ სონიკოი, ლალოთ სიმხაი, ფითოთ ფაშაი, ფიტიმათ შიმყონას ცოლი ქოსათ შებაყაი, შინიმინიათ როზაი, კეზოს ცოლი გეოთ სონაი, ბაქოდან სადღესასწაულოდ ახალციხეში განგებ ჩამოსული გეოთ ხავიშაი, ბიცოლაჩემი მაროი, ყურჭოთ შალომას ცოლი სიმხაი, ბუჟოთ მანიაი, ლექსოთ ონტლეი, პუტიკათ სარაი, ლევიათ წიპაი, ყვითელათ აბრაშკას ცოლი კლარაი, ბაჯათ სიხაი, ჰაჯიათ მაზალტობაი, ბულბულათ ჟუჟუნაი, პუტეთ სონაი და მრავალი სხვა, რომელთა გაუთავებელ ალიაქოთსაც, იქვე თათარიახლად თავმოყრილი ბავშვების ღრიანცელი უერთდებოდა, რომლებიც ბუჩულის თამაშით იქცევდნენ თავს, მათ შორის იყვნენ: კოშტოი, კონიკოი, პაჭოი, ტყუპის ცალები, გულსუნდაი და სულსუნდაი, მამულაი და რაფოი, თამაზიაი, ქოსათ კაკოი, იზოლდაი, ნონაი, ჩიტოი, კაცობათ დათოი, ირაი, ალიკაი, დოდიკოი, ჭუტლიაი, ლუიზაი, ლალი, ანზორაი, კანზაველი რიმაი, ფაფალათ სოსოი, გურამაი, შალეი, ოქროი, ომარაი, ანუკაი, გერშონკაი, ნუნუი, ჩემი დის, ნანულის უახლოესი მეგობარი, მერიკოი და მრავალნი სხვა; მე, დუროთ შთამომავალი ვიყავი და დუროთ დათო-დ მომიხსენიებდნენ უბანში; ფერხულში, ცხადია, უბნის მამაკაცებიც იყვნენ ჩართულნი, რომელნიც თავიანთ ნაქნარებს იქედნიდნენ; შეუძლებელი იყო, მათი თანდასწრებით გამოწვეული ღრიანცელის უგულველყოფა, იმ ორომტრიალში, სადაც არავინ არავის არ აცლიდა ჩადენილი ნაქნარების ღაღადს, ხოლო ფურთის თამაში კი, ალიბად იყო საჭირო იმისათვის, რათა ფსონში გასვლისას, ვითაც ხასი ათიანი და ჯვრის ორიანი ერგებოდათ, საბაბი მისცემოდათ თავიანთი დამსახურება, დაბეჯითებით დაექადნათ საყოველთაოდ.

შებინდებისას, ყველანი ხეირიანად როცა ამოვიდოდნენ ერთიმეორის ვახტში, უკვე სიქა გამძვრალები, ხელში ცხელი ლუხმებით ბავშვები ბუტეთ ბაღს მივაშურებდით ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით და შემდეგ კი, დანთებული ყანდილებით ლოცვის ეზოში ვიკრიბებოდით, სადაც ხნიერი ხალხი ხახამ იოსკას დარაშებს უგდებდა ყურს, ხოლო ქალები და ჯეელი თაობა კი, გასუსული ტრუნვით ვადევნებდით თვალსყურს მათ შორის მიმდინარე ქიშპიან კამათს...

აქ იყვნენ: ქოროთ ბესაი, კოჭლოი, ფაშაი, მეწუღე სუმბულათ ბეხარაი, მურკს რომ ეძახდა თავის თავს და ლახანას მისსავე მეუღლეს ლუბას, კოჭლოთ ისაკოი თავის ზილფასთან პადრუჩკით, ბარდანათ ლახშოი, ქიმონაი, გაგალაი და ჯეკაი, იავრიას მამა, ავტობუსის მძღოლი ლუჩკაი, სიფრიკაი და სანდროი, უბანში ყველას ოფიციალურ წერილებს რომ უწერდა და უკითხავდა, ყუბელი ფამბათ ხაიმაი, მიკიკაი და გაბოი, ყომარბაზი დუდღუნათ გიკიაი, ბუბუშათ ბინაი, ანტოთ ისაკოი, მეფურნე იაღლოი, ფესახში მასის მჭრელი, კოთტოი, რომელმაც ას წელზე მეტი იცოცხლა, ბატონაი, ომში ორთავე ფეხი რომ მოეჭრათ, ხედერში თორის მასწავლებელი, სამამულო ომის ინვალიდი, ქორფათ ჰილელაი, მოშკას მამა, მუშა იცხაკაი, ბატების მპურტყნავი, დებორაი, ჯართის შემგროვებელი, ყეზრაი (ცნობლი ყეზრათ ბაღის მესაკუთრე, რომელიც სომეხმა ბაგრატამ შეისყიდა და შიგ დიდი სახლი ააშენა), დედლოთ ბესას შვილი იაშაი, დამკვრელი რომას ძმა, რომლებსაც ერთი ძმა ზღვაში დახრჩობოდათ, დომინოსა და დამკის ოსტატი, ალექას სიმამრი, ოქროთი მოვაჭრე, კაცობათ სებიაი, ჩელოშათ კეზოი და კეზოს მეუღლე, გეოთ სონაი, ლიპოთ მუშკიაი და მოშკაი, აფლათათ ვარდოი, ქორბინოთ აშერაი, ქოსათ იაყაკობას შვილები ელოი და იოსკაი, პიკეთ ფილხაზაი და იაყობაი, იეკუთელათ ჭიჭიაი, გეჩიაი, ნედლოთ ფერესას დედა რახელაი და მამამისი ისაკოი, ფიტიმათ დოლას და, სიფორაი, რომელზეც ცნობილი ლეგენდა დადიოდა: განაწყენებულმა სადედოფლომ დასწყევლა და დოლაი ისე დაბერდა თავისი სახლის ზღუბლებს გადაალაბიჯებდა თუ არა, პირქვე ეცემოდაო და მისი დღე და მოსწრება სახლის ზღურბლებს არ გასცილებიაო..., პუტიკათ მორდეხაი, რომელსაც ყოველდღიურად შეგეძლოთ შეხვედროდით ბუტეთ ბაღში, კონცოლასთან ერთად ყომარბისას, ხშირად მისი მდიდარი ძმა, პუტიკათ ჰილელაი, თბილისიდან ახალციხეს ჩამოსული, ცოდოებს ლოცვაზე მასთან ერთად ინანიებდა, ბიძაჩემი ელინკას ცოლისიანთი, ჰაჯიათ ილოი, იოსკაი, იაშაი, რაიაი და მიშიკოი, ბურნაოთის ყნოსვით ნესტოებ დაბერილი, ფიტიმათ მეირაი, თორის მასწავლებელი, მელამედი ხახამ იონათანაი, რომელსაც, საბჭოთა ხელისუფლებამ დეკასთან მიწები გამოუყო და მისი სახლი ახლადაც ამშვენებს ახალციხის ცენტრალურ უბანს; ხახამ იონათანზე ამბობდნენ, მის სახლს ხანძარი როდესაც გაუჩნდა, ცეცხლის ჩაქრობის უფლება მან არავის არ მისცა, ვინაიდან შაბათ დღეს მოეკიდა ცეცხლი მის სახლსაო, ხოლო ხალხის რწმუნებით, რიბი დობერის, რომელიც წარმოშვებით გომელიდან ბრძანდებოდა და სანამ ყურჭოთ შალომამ ერთი ოთახი თავის სახლში არ გამოუყო, ძირითადად ლოცვაში ეძინა, მას თავისი გარდაცვალების დღეც კი, წინასწარ სცოდნია...

ნიშნდობლივია, აღინიშნოს ისიც, რომ ფესახის სადღესასწაულოდ რაბათის ებრაელობა, ფესახის სამზადისს სამი თვით ადრე იწყებდა, რომელსაც ფხეკიკვირეები ეწოდებოდა, ას ფუთ მასას ორი თვით ადრე თვითოეული ოჯახი აცხობდა, რასაც საყოველთაოდ განთქმული, ახალციხეში პირველი მეფაიტონე, ყრუ ყირბუიღი დავითაი, თვითოეულ კომლს, მასით დატვირთული ცალ ცალკედ ჩამოუვლიდა და მასის სახლში შეტანაშიც ეხმარებოდა... ყირბუიღს დომინოს თამმაშში ფარდი არა ჰყავდა მთელს ახალციხეში; ანტოთ იოსკაიც და თაფლათ მოსეიც ბილა კაი დღეებში ლოცვაზე დადიოდნენ, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ანტოთ იოსკაი, რაიაღმასკომის განყოფილების უფროსის თანამდებობას იკავებდა, ხოლო თაფლათ მოსეს, კი პარტიული სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული.

ჯერ რა სახელები ერქვათ, იტყარა შენ ბე ხარა სატანი: ბაჯანაღი, ბარტყას პუჭურაი, უჭოი, ფერესაი, ვარდიაი, შავოთ ალექაი, შურმანათ აბრამაი, კაჭოთ მოშკაი, ქეჯენიენთ დათიკოი, შინიმინიათ ხაიმაი, თაფლათ ანზორაი, ქოროთ ლევიაი, დუდღუნათ მიწკაი, კონდოი, ელინკაი, ბინკოი, აბრაშკაი, ტიტიაი, ფილოი, დამიაი... ან, რა ჩარაზე იყვნენ დახურულნი?! ამ მოტრეტილ ვაჟკაცებს, უსათუოდ, მირინოსის ჟემპრი, ბაილონის, ან ლაფსანის შარვალი, ყარაყუმის ქურთუკი და ჯოხიანი კაცის ფინური ფეხსაცმელი უნდა სცმოდათ, თანაც მაკასინები ბოტებში უნდა ჰქონოდათ გაყრილი, ტყლაპოებში დასვრის ალბათობის შემცირების მიზნით; გაღეღილ პერანგებს ქვეშ კი, თეთრი ფუფაიკები ყველას აშკარად უმჭირვალებდა ბანჯგვლიან გულმკერდს; რაბათის ებრაელი დედაკაცები განსაკუთრებული სპეტაკი აღნაგობით, ცბიერებითა და სიკაპასით გამოირჩეოდნენ საქართველოს ყველა სხვა კუთხეში მცხოვრები ქართველი ებრაელი ქალებისაგან, ხოლო მამაკაცების ნირი კი, ახმახი აღნაგობითა და ჰალალი, ხშირ შემთხვევაში კი, თვით ბეყე ბუტუსუროებით, მორჩილებითა და სიბეცით იყო ნიშანდობლივი... რაბათის ებრაელთა ოჯახების ყველაზე განსაკუთრებული მახასიათებელი კი, ის იყო, რომ იქ მამაკაცის მიერ მეუღლისადმი ფიზიკური, ან თუგინდ სიტყვიერი შეურაცყოფა ყოვლად გამორიცხული იყო. მეტსაც გეტყვით, რაბათის ებრაელი მამაკაცები ქალბატონებს სრული თავისუფლებით მოსავდნენ და იშვიათ მოვლენად მიიჩნეოდა მამაკაცის ქალის საქმეში ჩარევა... საქართველოში, თქმულებაც კი, დადიოდა იმისა, რომ: ვაჟი ახალციხელი, ხოლო ქალი ქუთაისელი უნდა შეიყვანო ოჯახშიო, ოღონდ, უქონარი და უქომაგო ქუთათელი ქალიც კი არ ვარგაო, მაშინ როდესაც, ახალციხელი კაცის ოჯახში შეყვანა, საწყალისა და გაჭირვებულისაც კი, ყოვლად მოწოდებული იყო... მთავარი იყო ქალი ონელი არ ყოფილიყო; ონელი ქალი, ბარბინამ, ლო ყალეხემ, სახლში არ შეიყვანებაო...

მახსოვს, ხშირად, სააღდგომო დღესასწაულის მოახლოებისას, მამიგონას დუქანთან, ბირჟაზე, დალალები, მიმდებარე სოფლებიდან ჩამოსულ აუარებელი რაოდენობის გლეხობას ჩაიგდებდნენ ხელში და შალის პალტოებს ასაღებდნენ; საგულისხმოა აღინიშნოს, რომ მოსასხამი ქურთუკები ყველა ერთი და იგივე ზომის იყო, ხოლო მუშტრების ფიზიკური აღნაგობა კი, მყისიერად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, ამიტომ ვინც მაღალი იყო, იმისთვის ორმო ჰქონდათ ამოთხრილი ვაჭრებს და იმ ორმოში ჩააყენებდნენ, ხოლო ჩია ზომის მუშტრებისთვის კი, დიდი ლოდი მოეთრიათ საგანგებოდ ვაჭრებს და იმ ლოდზე შეაყენებდნენ მორჩილი ტანის მქონე მყიდველს, თანაც ზედ დააყოლებდნენ: "იფ, იფ, რა გიხდება!? მოკლეთ, გხატავს! აფსუს, შენ ალაგას რო ვიყო, ორ თანას ერთად ავიღებდი... მამა მიცხონდება, დაჟე ას თუმნათაც არ დაგითმობდი!" – "მე ვინ მომაქვავა კაცო მაგოტოლა ფარა?!", იყო გლეხის პასუხი; "თორა თუ მწამს, შეკერათ არა ღირს! ხო გეუნები, არ გიყაბულებ მაანათ, ქოსათ მორდეხასი არა იყოს რა, ისეთ ფასში გაძლევ თავნი ბილა არა მჩება; ზათი, მაანათ მინდა, რო ვთქვა, რო საქონელი დავაფანიერე-მეთქი, თორე, ანჯახ, ხალხის პირში ჩავარდა ჩემი მტერი და ოჯახის დამაწყევარი"... ერთი ვნახოთ, ატყდებოდა მითქმა-მოთქმა: იმახ შემო ვე ბეზიხრო!, "დათელეხდით ჯამაათო, ქელებები მოდიან!" და მილიცია სიმონაც თავს დაეცემოდა თავის რაზმით გაჩაღებული ვაჭრობით დაკავებულ დალალებს; იმახ თიფახ ვე იაყავირ გილგულიმ ჯართემ!, მიაკურთხებდნენ ცბიერი თვალებით გაცეცებულ მილიცია სიმონას დაფრთხობილი დალალები და ისიც, ისე მაინც არ დატოვებდა უბანს, ყიმას მამა შიმყონასთვის, ის უგემრიელესი და შეუდარებელი საკმაზისით შეზავებული კიტრის მჟავე, ლილისფერ პატარა მარილოვან ქვაბში რომ ეწყოხოლმე და თითო თანას ორ შაურად, რომ ჰყიდდა, სამი ცალი მაინც რომ არ შეეწერა...

... ბავშვებისათვის, ზამთრისას თოვლი რაბათში, ერთი დიდი ზეიმი იყო. თოვლის პაპას მურით თვალებს, ხოლო ცხვირს ბადრიჯანით და მკლავს კი, ჩამოკიდული ალუმინის ვედროთი შევამკობდით და მიდი!, თვითნაჩარხი ციგებით დაღმართზე "ჰოიენე, ჰაიგონ ეღავ!"-ის შეძახილებით თავდაყირა დავეშვებოდით ოღრო ჩოღრო ბილიკებზე, ღრმა თოვლში ტალახგარეულ და უხეშად გაკაფულ ტრასაზე და ხშირ შემთხვევაში, ჩვენი უბნის საბავშვო ბაგა ბაღის გასწვრივ, გრიშას ბუტკამდე ღიად ჩამონადენი ღელის ფეკალური ნარჩენების წუმპეში ვასრულებდით ტყლაშანით ხანგრძლივ ციგით სრიალს, რომელიც სათავეს მაღლა, ვაინტორგში იღებდა და მდინარე ფოცხოვის კალაპოტებში ედინებოდა...

... გრიშას ბუდკა, რომლის მიმდებარეთაც, ერთად ერთი წყლის ონკანი მოიძებნებოდა უბანში და სადაც მთელი უბნელები ყოველდღიურად ვედროებს ვავსებდით და კეტით მხარზე გადაკიდებულ, წყლით სავსე ორ ორ ვედროს, სახლებისაკენ ვეზიდებოდით...

... ჩვენი უბნის ბაგა ბაღი, განსაკუთრებული არქიტექტურითა და კეთილმოწყობით გამოირჩეოდა, რომლის შესასვლესაც უძველესი, თორული ასოებით ამოტიხრული დიდი ქვა ამშვენებდა და სადაც, საძინებელი ზალა, სათამაშო და სასწავლო ოთახი და სასაუზმე ურთიერთდამოუკიდებლად იყო განთავსებული, ორი საპირფარეშო კი, ფართე ეზოში, რომელიც დასავლეთით ხახამ იოსკას საყასბეს, ხოლო აღმოსავლეთით კოშტოს სახლს ესაზღვრებოდა, სამხრეთით კი, ზემოხსენებულ ღელეს; საახალწლოდ თოვლის ბაბუა მე ვიყავი ხოლმე ბაღში და ხურჯინ მოკიდებული, სანამ ბავშვებს საჩუქრებს დავურიგებდი, ოთახში შემდეგი ლექსით შემოვდიოდი:

"მოვდივარ, მომიხარია,
მომაქვს მშვიდობის ალამი,
მთელს მსოფლიოზე მშვიდობა,
მშვიდობის შვილებს:
და ყველა ერთად შევძახებდით:
სალამი, სალამი, სალამი!...

ამას წინათ, ჩემი სიძის დის შვილმა, ლეილა ჯანაშვილმა ფოტოსურათი გამომიგზავნა წარწერით: "გახსოვთ ბატონო დავით, ერთ დროს ჩვენც ვიყავით ბავშვები...", რაზეც ლეილას საპასუხოდ მივწერე შემდეგი სიტყვები: *ჩემო სიყრმის მეგობარო, ჩემო ერთგულო და საამაყო დაიკო, ჩემო ლეილა!, დღესავით მახსოვს, აშოტა ფოტოგრაფმა, ახალციხეში, ჩვენი უბნის ბაგა ბაღის ეზოში, ეს ჯგუფური სურათი რომ გადაგვიღო და ისიც მახსოვს, ნათელა მასწავლებელმა, თუ როგორ აგიპრიხა ეგ ღია ფირუზისფერი ბაფთა და თეთრი ბაილონის ბანტი, თვალებზე რომ მეფხატებოდა...*

...მას შემდეგ, ზუსტად 50 წელი გავიდა, ნახევარი საუკუნე და ზოგჯერ, ისევ იმ ბალღური ხალისითა და გატაცებით გეალერსები ჩემს ფიქრებში...

გახსოვს ლეილა, ეს სურათი, ზოგიერთებისათვის, ბაგა ბაღის გამოსასვლელი და სკოლისთვის მოსამზადებელი ტაეპი იყო, რაც პირველი კლასის დასაწყისს მოასწავებდა?!

...შენ, ვადამდე სამიოდე დღით გვიან იყავი დაბადებული და ამის გამო, ბაღში დამატებით ერთი წელიწადი დაგავალდებულეს სიარული... გახსოვს, ამ სურათის გადაღების შემდეგ, რომ ამომხედე და მითხარი: "ერთი წელი რა არი რო, სამაგიეროდ, მე, სხვა თანაკლასელებთან შედარებით, უფრო მოვმწიფდები და ყველაზე საუკეთესო მოწაფე ვიქნებიო". შენ, როგორც დღესაც, ასე გჩვეოდა მაშინაც, იხტიბარს არ იტეხდი, მაგრამ, მე შენს თვალებში დიდი სინანულის განცდა ამოვიკითხე, მაშინ...

რა ერცახე ყოფილა საჭირო ადამიანისათვის, რათა ბედნიერი ყოფილიყო ცხოვრებაში... ბევრისაკენ მისწრაფულნი, თურმე ისე ალაბიჯებენ ამ პაწაწა, მშვენიერებით აღსავსე განძს, რომ ვერც კი შეუმჩნევიათ და ბოლოს უკვირთ, რომ ვერ მიუგვნიათ...".

(გაგრძელება იქნება)

რატომ აირჩია ღმერთმა ებრაელები?

ვლადიმირ სოლოვიოვი (1853 - 1900) - გამოჩენილი რუსი რელიგიის ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, პოეტი. ცნობილი რუსი ისტორიკოსის ც.ს. სოლოვიოვის ვაჟი. რუსული რელიგიური ფილოსოფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი:

იუდაიზმისა და ქრისტიანობის მრავალსაუკუნოვანი ერთობლივი თანაარსებობა და ურთიერთობა შესანიშნავი მოვლენა გახლავთ. იუდეველები ყველგან და ყოველთვის აკვირდებოდნენ ქრისტიანობას და მას საკუთარი რელიგიის წესდებათა, საკუთარი რწმენისა და რჯულის მიხედვით ეპყრობოდნენ. იუდეველები ყოველთვის იუდეველურად გვეპყრობოდნენ: ჩვენ კი, ქრისტიანებმა, პირიქით, აქამდე ვერ ვისწავლეთ იუდაიზმისადმი ქრისტიანული მოპყრობა. მათ არასოდეს დაურღვევიათ საკუთარი რელიგიური კანონი ჩვენ მიმართ, ჩვენ კი გამუდმებით ვარღვევდით და ვარღვევთ მათ მიმართ ქრისტიანული რელიგიის მცნებებს. ნაცვლად იმისა, რომ სწორედ ეს საკითხი მოვინანიოთ, ვცდილობთ ჩვენი დანაშაული სხვას გადავაბრალოთ. ჩვენ როდი ვართ დამნაშავე, დამნაშავე ფანატიზმით გამორჩეული შუა საუკუნეების პერიოდია, დამნაშავე კათოლიკური ეკლესიაა. აი, ჩვენს დროშიც დაიწყო იუდეველთა დევნა, ისეთ ქვეყნებშიც კი, რომლებიც არ გახლავთ კათოლიკური. აქ უკვე დამნაშავენი ჩვენ კი არა, არამედ თავად დაზარალებულნი არიან. ჩვენ შორის მცხოვრები იუდეველები იუდეველთა წესისამებრ გვეპყრობიან; ნათელია, რომ ჩვენ მათ წარმართთა წესისამებრ უნდა მოვექცეთ; მათ არ სურთ ჩვენდამი სიყვარულის გამოჩენა, გასაგებია, რომ ჩვენ ისინი უნდა გვძულდეს; ისინი განცალკევებულად დგანან, არ სურთ ჩვენთან აღრევა, არ გვიცხადებენ სოლიდარობას; ნათელია, რომ ჩვენ ისინი უნდა აღმოვფხვრათ.

ამგვარად, იუდაიზმისადმი დამოკიდებულებაში ქრისტიანობის უდიდესმა ნაწილმა გამოამჟღავნა ან უგუნური მოშურნეობა ან უძლური გულგრილობა. ორივე დამოკიდებულება უცხოა ჭეშმარიტი ქრისტიანული სულისათვის; არც ერთი მათგანი არ დგას ქრისტიანული იდეის სიმაღლეზე. უკვე XIII საუკუნიდან მოყოლებული, ვხედავთ ერთეულ მცდელობებს ქრისტიანული სამყაროს მოღვაწეთა და მოაზროვნეთა მხრიდან; მცდელობებს იუდაიზმისადმი სხვანაირი, ჭეშმარიტად ქრისტიანული დამოკიდებულებისა. ამ მცდელობათ, მართალია, რაიმე აშკარა შედეგები არ მოჰყოლია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ნაბიჯები ებრაელებთან დაკავშირებული საკითხის ჭეშმარიტი გადაწყვეტისკენ მიმავალი გზის დასაწყისია, რაც უკვე ნაწინასწარმეტყველებია მოციქულ პავლეს მიერ რომაელთა მიმართ წერილში (მე-12 თავი). ღირსმა ნიკანორმა, ხერსონისა და ოდესის ეპისკოპოსმა (ავტორი შესანიშნავი და ჯერ კიდევ სათანადოდ შეუფასებელი რელიგიის ფილოსოფიაში დაწერილი შრომისა) ოდესაში წარმოთქვა შთაგონებული და ჭეშმარიტად ქრისტიანული სიტყვა ძველაღთქმისეულ და ახალაღთქმისეულ რელიგიათა შორის არსებული უმჭიდროვესი კავშირის შესახებ. ამ შესანიშნავი სიტყვის მთავარი აზრია იუდაიზმისა და ქრისტიანობის ერთობა, რომელიც აღმოცენებულია არა გულგრილობის ან რაიმე განყენებულ პრინციპთა ნიადაგზე, არამედ სულიერი და ბუნებრივი ნათესაური კავშირის და, ასევე, დადებით რელიგიურ ინტერესთა რეალურ ნიადაგზე. ჩვენ ერთიანნი უნდა ვიყოთ იუდეველებთან, თანაც, ქრისტიანობაზე უარის თქმის გარეშე, არა ქრისტიანობის საწინააღმდეგოდ, არამედ ქრისტიანობის სახელითა და ძალით; იუდეველნიც უნდა ერთიანნი იყვნენ ჩვენთან არა იუდაიზმის საპირისპიროდ, არამედ ჭეშმარიტი იუდაიზმის სახელითა და ძალით.

ჩვენ იმიტომ ვართ განცალკევებულნი იუდეველთაგან, რომ ჯერ სრულად ქრისტიანები არ ვართ და ისინიც იმიტომ დგანან ცალკე, რომ ისინიც სრულად იუდეველნი არ არიან, რამეთუ ქრისტიანობის სისრულე მოიცავს იუდაიზმსაც და იუდაიზმის სისრულე კი გახლავთ ქრისტიანობა. ისრაელის ერის ნაწილმა არ მიიღო მესიის პირველი მოსვლა და ამისათვის დიდად ზღავენ ისინი, მაგრამ ეს მხოლოდ დრომდე, ვინაიდან ღვთის სიტყვის დარღვევა შეუძლებელია და ეს ძველაღთქმისეული სიტყვა დადასტურებულია ახალ აღთქმაში წარმართთა მოციქულის მიერ, რომელიც ნათლად და მტკიცედ ღაღადებს: მთელი ისრაელი გადარჩება. იუდეველები, რომლებიც ქრისტეს სიკვდილით დასჯას ითხოვდნენ, ყვიროდნენ: "ჩვენზე იყოს და ჩვენს შვილებზე მაგისი სისხლი". ეს სისხლი გამოსყიდვის სისხლია და, ალბათ, ადამიანური ბოროტების ამოძახილი არც ისე ძლიერია, რომ ჩაახშოს ღვთიური მიტევების სიტყვა: "მამაო, მიუტევე მათ, რამეთუ არ იციან, რას სჩადიან".

გოლგოთასთან შეკრებილი სისხლს მოწყურებული ბრბო იუდეველებისგან შედგებოდა, მაგრამ იუდეველი იყო ის სამი ათასი, შემდეგ კი ხუთი ათასი ადამიანი, რომლებიც მოციქულ პეტრეს ქადაგების შემდეგ მოინათლნენ და, რომლებიც შეადგენდნენ პირველ ქრისტიანულ ეკლესიას. იუდეველნი იყვნენ ანნა და კაიაფა, იუდეველნი იყვნენ ნიკოდიმოსი და იოსებ არიმათიელი. ერთსა და იმავეს ერს მიეკუთვნებოდნენ ქრისტეს გამყიდველი იუდა და ასევე, პეტრე და ანდრია, რომლებიც ჯვართ აცვეს ქრისტეს გულისათვის. იუდეველი იყო თომა, რომელსაც არ სწამდა აღდგომის და ისევ იუდეველად დარჩა მას მერე, რაც აღმდგარ ქრისტეს ერწმუნა და უთხრა მას: "უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო!" იუდეველი იყო ქრისტიანთა სასტიკი მდევნელი სავლე და მომავალშიც იუდეველი იუდეველთაგანი იყო ქრისტიანობისათვის დევნილი პავლე, რომელიც ამბობს: "ყველა მათგანზე მეტი ვიღვაწე". რაც უფრო მნიშვნელოვანია, თავად უფალი, იუდეველთა მიერ გაცემული და ჯვარცმული ღმერთკაცი ქრისტე, ის თავად სულითა და ხორცით ადამიანი, წმინდა სისხლის იუდეველი გახლდათ. ამ საოცარი ფაქტის გათვალისწინებით, განა უცნაურად არ გვეჩვენება იუდაიზმის განკითხვა ქრისტეს სახელით? იუდაიზმისა, რომელთანაც განუყოფლადაა დაკავშირებული თავად ქრისტე და თუ ქრისტე ღმერთი არ არის, მაშ, იუდეველნი არ არიან ბერძნებზე მეტად დამნაშავენი, რომლებმაც მოკლეს სოკრატე. ჩვენ თუ ქრისტეს ღმერთად ვაღიარებთ, მაშ, იუდეველნიც უნდა ვცნოთ ღვთის წარმომშობ ერად. იესოს სიკვდილში, იუდეველებთან ერთად, რომაელებსაც მიუძღვით ბრალი, მაგრამ უფლის შობა მხოლოდ ღმერთსა და ისრაელს ეკუთვნის. ამბობენ, რომ ებრაელები ქრისტიანობის მუდმივი მტრები არიან, თუმცა, უკანასკნელ საუკუნეებში გავრცელებული ანტიქრისტიანული მოძრაობის სათავეში დგანან არა ებრაელები, არა სემიტები, არამედ არიული რასის წარმომადგენლები, დაბადებით ქრისტიანი ადამიანები. იუდეური წარმოშობის მქონე ზოგიერთი მოაზროვნის მიერ ქრისტიანობის უარყოფა და მის წინააღმდეგ ბრძოლა უფრო მეტად პატიოსანი და უფრო მეტად რელიგიური ხასიათის მქონეა, ვიდრე ქრისტიანული გარემოდან გამოსულ მწერალთა ბრძოლა ქრისტიანული სარწმუნოების წინააღმდეგ. უკეთესია სპინოზა, ვიდრე ვოლტერი, უკეთესია იოსებ სალვადორი, ვიდრე ერნესტ რენანი. იუდაიზმის უგულებელყოფა უგუნურებაა; იუდეველთა ლანძღვა და მათთან ჩხუბი უსარგებლოა; უმჯობესია, გავიგოთ იუდაიზმი, მიუხედავად იმისა, რომ ეს უფრო რთულია.

რატომ იყო სწორედ იუდაიზმი წინასწარგანზრახული იმისათვის, რომ მისგან მოვლინებულიყო ღმერთკაცი მესია, იგივე ქრისტე?

ვინაიდან ღმერთისგან მომდინარეობს განწესება, ეს გულისხმობს უცილობელ, უპირობო თავისუფლებას, თუმცა, ღვთიური თავისუფლება არ უნდა განვიხილოთ ადამიანური თვითნებობისა თუ მისწრაფების დონეზე. ჭეშმარიტი თავისუფლება არ გამორიცხავს გონებას, გონების მიხედვით კი ამგვარი განწესება ან არჩევა, რაც ცნობილი საგნისადმი ღვთის დამოკიდებულების გამომხატველია, შეესაბამება არა მხოლოდ ამრჩევის თვისებას, არამედ არჩეულის ხარისხსაც. ებრაელთა ეროვნულ ხასიათში უნდა ვეძიოთ მათი არჩევის პირობები. მარადარსებულმა ღმერთმა თავის ერად აქცია ისრაელი, ვინაიდან ისრაელმა თავის ღმერთად აქცია მარადარსებული ღმერთი.

მამამთავარი აბრაამი, რომელიც წარმართებს შორის ცხოვრობდა და ჯერ არ ჰქონდა მიღებული ჭეშმარიტი გამოცხადება, არ კმაყოფილდებოდა და დიდად ამძიმებდა წარმოსახვითი ღმერთების კულტი, ღმერთებისა, რომლებიც ასე მიმზიდველი იყო ყველა ხალხისათვის. ბუნების სტიქიურ და დემონურ ძალთა მიმართ მსახურება ეწინააღმდეგებოდა ებრაულ სულს, მიუღებელი იყო მისთვის. ისრაელის მამამთავარს არ შეეძლო ერწმუნა ის, რაც ადამიანზე დაბლა იდგა, ის პიროვნულ და ზნეობრივ ღმერთს ეძიებდა, ვისდამი რწმენაც არ იყო დამამცირებელი ადამიანისთვის და სწორედ ეს ღმერთი გამოეცხადა მას, მოუწოდა და მისცა აღთქმა მის შთამომავლობას. "რწმენით დაემორჩილა აბრაამი ხმობას, წასულიყო იმ ქვეყანაში, რომელიც სამკვიდროდ უნდა მიეღო" (ებრ. 11:8). იმან, რამაც გამოიყვანა აბრაამი ქალდეველთა ქვეყნიდან, სწორედ ამან უბიძგა მოსეს ეგვიპტის დატოვებისკენ. მიუხედავად ეგვიპტური თეოსოფიისა და თეურგიის ყველა ცდუნებისა, "რწმენით იყო, რომ მოსემ, როცა წამოიზარდა, უარი თქვა ფარაონის ასულის ძედ წოდებულიყო რწმენით დატოვა ეგვიპტე". (ებრ.11:24, 27).

წარმართობიდან თავდაღწეული და საკუთარი რწმენით ქალდეველთა ჯადოქრობასა და ეგვიპტურ სიბრძნეზე ამაღლებული ებრაელთა მამამთავარი და წინამძღოლი გახდნენ ღირსნი ღვთის რჩეულობისა. ღმერთმა აირჩია ისინი, გაუცხადა მათ თავისი თავის შესახებ, კავშირი დადო მათთან. მოკავშირეობითი შეთანხმება ანუ ისრაელისადმი ღვთის აღთქმა ებრაული რელიგიის ღერძია. ეს მოვლენა ერთადერთია მსოფლიო ისტორიაში, რადგან არც ერთი სხვა ერის რელიგიას არ მიუღია ღმერთსა და ადამიანს, როგორც ორ არსებას, შორის კავშირის ან აღთქმის ასეთი ფორმა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უთანასწორონი იყვნენ, მაგრამ ზნეობრივად ერთგვაროვანნი გახლდნენ. ადამიანის შესახებ ეს მაღალი წარმოდგენა არ არღვევს ღმერთის დიდებულებას, არამედ, პირიქით, აძლევს მთელი ძალით წარმოჩინების საშუალებას. ადამიანის დამოუკიდებელ ზნეობრივ არსებაში ღმერთი თავისთვის პოულობს მოქმედების ღირსეულ ობიექტს, სხვა შემთხვევაში ღმერთი ვერავისზე ვერ მოახდენდა ზემოქმედებას. ადამიანი რომ თავისუფალი პიროვნება არ იყოს, როგორ გამოავლენდა ღმერთი თავის პიროვნულ არსებას სამყაროში? რამდენადაც თვითარსი და თვითგანმსაზღვრელი ღმერთი, რომელიც მეფობს სამყაროზე, აღემატება მსოფლიო მოვლენათა უპიროვნო არსს, იმდენად იუდეველთა წმინდა რელიგია ძველი მსოფლიოს ყველა ნატურალისტურ თუ პანთეისტურ რელიგიაზე მაღლა დგას. ამ რელიგიებში არც ღმერთს და არც ადამიანს არ შეუნარჩუნებიათ დამოუკიდებლობა: აქ ადამიანი მონა იყო უხილავი და უცხო კანონებისა, ხოლო ღვთაება კი, საბოლოოდ (ბერძენთა მხატვრულ მითოლოგიაში), ადამიანის წარმოსახვის სათამაშო გახლდათ. იუდეველთა რელიგიაში კი, პირიქით, თავიდანვე ერთნაირად შენარჩუნებული იყო ორივე მხარე - ღვთიურიც და ადამიანურიც. ჩვენი რელიგია იწყება ღმერთსა და ადამიანს შორის პირადი ურთიერთობით აბრაამსა და მოსესთან დადებულ უძველეს აღთქმაში და განმტკიცდება ღმერთისა და ადამიანის უმჭიდროვესი პირადი კავშირით იესო ქრისტეს ახალ აღთქმაში, რომელშიც ორივე ბუნება განუყოფლად, თუმცა, ამავდროულად, შეურწყმელად არსებობს. ეს ორი აღთქმა ორი სხვადასხვა რელიგია როდია, არამედ ერთი და იმავე ღვთიურ-ადამიანური რელიგიის ორი საფეხურია, ერთი და იმავე ღვთიურ-ადამიანური პროცესის ორი მომენტი. ეს ერთიანი, ჭეშმარიტი ღვთიურ-ადამიანური, ებრაულ-ქრისტიანული რელიგია მიდის პირდაპირი და სამეფო გზით წარმართობის ორ უკიდურეს ცდომილებას შორის, რომელშიც ხან ღვთაება შთანთქავს ადამიანს (ინდოეთში), ხან კი თავად ღვთაება იქცევა ადამიანის ჩრდილად (საბერძნეთსა და რომში). ჭეშმარიტი ღმერთი, ისრაელის ამრჩევი და ისრაელის მიერ არჩეული, არის ძლიერი ღმერთი, ღმერთი თვითარსი, ღმერთი წმინდა. ძლიერი ღმერთი თავისთვის ძლიერ ადამიანს ირჩევს, ვისაც ექნება უნარი მასთან შებრძოლებისა. თვითარსი ღმერთი ეცხადება მხოლოდ თვითშეგნებულ პიროვნებას; წმინდა ღმერთი უკავშირდება მხოლოდ იმ ადამიანს, ვინც ეძიებს სიწმინდეს და ძალუძს ქმედითი ზნეობრივი გმირობის ჩადენა. ადამიანური უძლურება ეძიებს ღმერთის ძალას, მაგრამ ეს არის ძლიერი ადამიანის უძლურება: ბუნებით სუსტ ადამიანს ძლიერი რელიგიურობისკენ სწრაფვაც არ ძალუძს. ზუსტად ასევე, უპიროვნო, უნებისყოფო და ნაკლებად განვითარებული თვითშემეცნების მქონე ადამიანს არ შეუძლია იმის გაგება, როგორ უნდა არსებობდეს ღმერთის თვითარსი მყოფობის ჭეშმარიტება. და ბოლოს, ადამიანი, რომლის ზნეობრივი თვითგამორკვევის თავისუფლება პარალიზებულია, რომელსაც არ შეუძლია თავად დაიწყოს მოქმედება, არ ძალუძს გმირობის ჩადენა, მიაღწიოს სიწმინდეს - ასეთი ადამიანისთვის ღვთის სიწმინდე ყოველთვის დარჩება, როგორც რაღაც გარეგანი და უცხო; ის ვერასოდეს ვერ იქნება "ღმერთის მეგობარი". აქედან ნათლად ჩანს, რომ ის ჭეშმარიტი რელიგია, რაც ისრაელიან ერს გააჩნია, არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, მოითხოვს ადამიანის თავისუფალი პიროვნების განვითარებას, მისი თვითშეგრძნების, თვითშემეცნების და თვითშემოქმედების განვითარებას. ისრაელს დიადი რწმენა ჰქონდა, მაგრამ დიადი რწმენისათვის აუცილებელია საკუთარ თავში დიად სულიერი ძალთა ქონა. ღვთისადმი მიმართული უღრმესი რწმენისა და ადამიანური ენერგიის უდიდესი დაძაბულობის ერთობლიობა მოგვიანო იუდაიზმშიც იქნა შენარჩუნებული.

თავისი რელიგიის ერთგულ ებრაელებს, რომლებიც სრულად აღიარებდნენ ღვთაების სულიერებას და ადამიანური სულის ღვთაებრიობას, არ შეეძლოთ და არც სურდათ ამ უმაღლესი საწყისების განცალკევება მათ მატერიალურ გამოხატულებათაგან, მათი სხეულებრივი ფორმისა და გარსისგან, მათი უკიდურესი და საბოლო განხორციელებისგან. ყოველგვარი იდეისა და იდეალისთვის ებრაელი მოითხოვს ხილულ და ხელშესახებ განხორციელებას და სასიკეთო შედეგებს; ებრაელს არ უნდა ისეთი იდეალის აღიარება, რომელსაც არ ძალუძს სინამდვილის დამორჩილება და მასში შეისხას ხორცი. ებრაელს შეუძლია და მზად არის აღიაროს უმაღლესი სულიერი ჭეშმარიტება, თუმცა მხოლოდ იმ პირობით, რომ ხედავდეს და გრძნობდეს მის რეალურ ქმედებას. მას სწამს უხილავის (რამეთუ ყოველგვარი რწმენა არის რწმენა უხილავისადმი), მაგრამ უნდა, რომ ეს უხილავი ხილულად იქცეს და თავისი ძალა გამოავლინოს; მას სწამს სულის, მაგრამ, მხოლოდ ისეთი სულის, რომელიც აღწევს ყოველგვარ მატერიალურში, რომლითაც გაჟღენთილია ყოველგვარი მატერიალური, რომელიც მატერიას თავის

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რაბინის კუთხე

შიმონ ნიწუაშვილი

გამჩენმა თორა ყველა ისრაელისშვილს გადასცა

წერია ფესახის ჰაგადაში: კურთხეულია გამჩენი ღმერთი ყოვლისშემძლე, რომელმაც გადასცა თორა თავის ხალხს, კურთხეულია მისი სახელი, ოთხნაირი ბავშვზე მოგვითხრობს თორა, ბრძენზე, რაშაყზე, ბრიყვზე და იმაზე ვისაც არ შეუძლია შეკითხვის დასმა, რატომ არის ეს წინადადებები ერთად დაწერილი, პირველი იმიტომ, რომ გამჩე-ნმა გადასცა თორა ისრაელის შვილებს, ხოლო მეორე იმიტომ, რომ ოთხ ბავშვზე მოგვითხრობს თორა, რათა გვითხრას რომ გამჩე-ნმა თორა არ გადასცა მარტო ბრძენებს არამედ თორა ეკუთვნის ყველა ისრაელის შვილს, უბრალო ებრაელსაც და ბოროტსაც, ოთხი ბავშვი რომელზეც მოგვითხრობს თორა მიგვანიშნებს რამოდენიმე ნაწილზე რომლისგანაც შედგება ებრაელი ერი. თორა გვახსენებს, რომ თუნდაც ებრაელი მიეკუთვნებოდეს ყველაზე ცუდი კატეგორიის ჯგუფს, თორის სწავლის მეშვეობით შეუძლია ადამიანს მიაღწიოს სრულყოფილებას და მთლიანად შეცვალოს თავისი თავი და დაუახლოვდეს გამჩენს.

ერთი შეხედვით თითქოს ჩამოთვლილი ოთხი კატეგორიის ბავშვი ეწინაღამდეგებიან ერთი მეორეს, ბრძენი ბავშვის საწინაღამდეგოდ არის რაშაყი ბავშვი, მაგრამ ასეთი მიდგომა არასწორია, წინაღამდეგობა რომ იყოს საჭიროა ითქვას ბოროტის წინააღამდეგ კეთილი და არა ბრძენი, ამიტომ გვასწავლიან ჩვენი რაბები რომ ოთხი ბავშვი არის ოთხი კატეგორია ებრაელ ერში და ყველას თავისი ნაკლი აქვს ხოლო ჩვენი მიზანია ყველა კატეგორიის ებრაელი მივიდეს სრულყოფილამდე(ბრძენის ჩათვლით). თორაში არის ყველაფერი რაც სჭირდება ადამიანს იმისათვის რომ მიაღწიოს სრულყოფილებას და მაქსიმალურად დაუახლოვდეს ადამიანი გამჩენს და მიაღწიოს იმ საფეხურს რასაც ეწოდება " ცადიკი ".

ბრძენი ბავშვი

რა შეკითხვას სვამს ბრძენი ბავშვი ?

ეს რა დავალებები მოგვცა ჩვენმა ღმერ-თმა,? აუხსენი მას ყველა ჰაგადის წესები და უთხარი რომ აფიკომანის ჭამის შემდეგ არაფერს აღარ ჭამენ.

ბრძენი ბავშვის შეკითხვიდან არც თუ ისე გასაგებია რა ნაკლი აქვს ბრძენ ბავშვს, მაგრამ პასუხიდან ცოტათი ჩანს.

რა საფეხურზეა ბრძენი ბავშვი? ხსნის რაბ ბოროდიანსკი და ამბობს რომ ბავშვი კარგ საფეხურზეა, ის ყველა მიცვებს ასრულებს და თორასაც სწავლობს, მაგრამ ესეთ ადამიანსაც შეიძლება ქონდეს პრობლემები, მაგალითად შეიძლება თორას სწავლობდეს ზედაპირულად და არ უღრმავდებოდეს მის ასხნებს ეს კი გამოიწვევს მისი თორაში წინსვლის შეფერხებას, ამიტომ ფესახის ჰაგადა აძლევს მას საშუალებას ჩაურღმავდეს თორის წესების ღრმად შესწავლას, მაგალითად აფიკომანის წესებს და მის მნიშვნელობას.

ბრიყვი ბავშვი რა შეკითხვას სვამს?

რა არის ფესახი?

უთხარი მას რომ გამჩენმა ღმერ-თმა ძლიერი ხელით გამოგვიყვანა ეგვიპტიდან, მონობის სახლიდან.

ბრიყვი ბავშვი უყურებს ფესახის ჰაგადას და ვერ გებულობს ბოლომდე თუ რაში მდგომარეობს გამჩენის სამსახური ფესახის ჰაგადაში. თორა ასწავლის მას ფესახის ჰაგადის შინაარს, თორა მას ეუბნება რომ ეგვიპტიდან გამოსვლა განხორციელდა ბუნების წესებით, რომ ბუნებაც ემორჩილება გამჩენის სურვილს და მის გადაწყვეტილებას, ამიტომ ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია ვენდოთ გამჩენს მას ყოველთვის სამართლიანი განაჩენი გამოაქვს ყველასთვის, ის ყოველთვის ძლიერი ხელით გვატარებს მთელი ცხოვრების მანძილზე და არასოდეს არ უნდა გვეშინოდეს არავისი.

ბავშვი რომელსაც არ შეუძლია შეკითხვის დასმა.

იმ ბავშვს ვინც არ სვამს შეკითხვას შენ თვითონ უნდა აუხსნა და ასწავლო თორა, როგორც წერია თორაში " და უთხარი შენ შვილს ამ დღეს ჩემთვის გააკეთა სასწაულები ეგვიპტიდან გამოსვლისას ", რას ნიშნავს სიტყვა " ჩემთვის " ? ჩემთვის რისთვის? კომენტატორი რაში ხსნის: "ჩემთვის" რომ მიცვები შევასრულო ეგვიპტიდან გამოსვლისას და შემდეგ, როგორც ფესახის შესაწირავი, მაცის და მარორის ჭამა და ა,შ. რა შინაარსი აქვს მაცის ჭამას ფესახში? ეს სიმბოლოა იმისა, რომ გამჩენმა გაიმარჯვა ეგვიპტეზე. მაცის დამზადებისას როცა ცომს მოვზელთ არ ვაცდით გაფუებას და მაშინვე ვაცხობთ. ასევე გამჩენი ჩაერია ჩვეულებრივ ეგვიპტის ცხოვრების შუა პროცესში და გამოგვიყვანა ჩვენ, ამიტომ მაცის ჭამა არ არის მარტო გამარჯვების სიმბოლო ის ებრაელების მტრების დაცემის სიმბოლოცაა.

რაშაყი ბავშვი.

რაშაყი ბავშვი რაზე სვამს შეკითხვას? რა მსახურება გაქვთ თქვენ?, თქვენ და არა მას! იმის გამო, რომ ებრაელი ერისგან გამოაცალკევა თავისი თავი, მან უარყო ძირითადი რწმენა. ამიტომ უნდა უთხრა მას ეს ჩემ გამო გააკეთა გამჩენმა ეგვიპტიდან გამოსვლისას და არა მის გამო. ის რომ ყოფილიყო ეგვიპტეში ვერ გამოვიდოდა იქიდან ვერასდროს. ხსნის რაბი ბოროდიანსკი, ეს ბავშვი არის დარწმუნებული თავის თავში და შესაძლებლობაში, სანამ კიდევ ახალგაზრდები არიან ფიქრობენ რომ ყოველთვის უპრობლემო იქნება ეს ცხოვრება, მაგრამ ეს ასე არ არის, ეს ცხოვრება არც თუ ესეთი უპრობლემოა, და ამ სამყაროზე საცხოვრებლად ყოველდღიური გამჩენის დახმარებაა საჭირო თუ არა და ვერ ვიარსებებთ.

წერს მეფე შლომო თავის წიგნში მიშლეიში (24:16) ცადიკი ადამიანი შვიდჯერ დავარდება გამჩენის სამსახურში და შვიდჯერვე ადგება, ხოლო რაშაყი გაჭირვების გამო დავარდება. აქედან გვესმის რომ რაშაყი პირველივე დავარდნისასვე ვეღარ წამოდგება, რა განსხვავებაა ცადიკს და რაშაყს შორის, რატომ ვერ წამოდგება შვიდჯერ როგორც ცადიკი? გვასწავლის ფესახის ჰაგადა იმისთვის რომ წამოდგეს რაშაყი არ არის საკმარისი ფიზიკური ძალა, არამედ სულიერი ხსნის (გეულა) ძალაც უნდა ქონდეს, რადგან გამოეყო და უარი თქვა ამიტომ ვეღარ წამოდგება.

გამჩენმა დაგვამადლიანოს ყველა ისრაელის შვილს აგვეღზარდოს შვილები და შთამომავლობა გამჩენის რწმენით და მისი თორით, ყოველთვის და ველგან მის გზაზე დავდიოდეთ და მოგვიბრძანოს ძალიან მალე, ჩვენს დღეებში მაშიახი და გვეზეიმოს ფესახის დღესასწაული მესამე ბეთ ჰამიკდაშში, ბეშანა ჰაბა ბირუშალაიმ ჰაბნუია ამენ.

გარსად და იარაღად იყენებს. ებრაული აზროვნება არ აცალკევებდა სულს თავისი მატერიალური გამოხატულებისგან და ამით არ აცალკევებდა მატერიას თავისი სულიერი და ღვთაებრივი საწყისისგან; ის არ სცნობდა თავად მატერიას, არ ანიჭებდა საგნობრივ მყოფობას მნიშვნელობას. ებრაელები არ იყვნენ მატერიის მსახურნი და თაყვანისმცემელნი. მეორე მხრივ, ვინაიდან შორს იყვნენ განყენებული სპირიტუალიზმისგან, ებრაელებს არ შეეძლოთ მატერიას გულგრილად, გაუცხოებით ან ისე მტრულად მოპყრობოდნენ, როგორი მტრული დამოკიდებულებაც გააჩნდა აღმოსავლურ დუალიზმს მისდამი. მატერიალურ ბუნებაში ისინი ხედავდნენ არა ეშმაკს ან ღვთაებას, არამედ, მხოლოდ ღმერთკაცური სულის დაუმთავრებელ სამყოფელს.

იმ დროს, როცა პრაქტიკული და თეორიული მატერიალიზმი ემორჩილება ნივთიერ ფაქტს, როგორც კანონს, იმ დროს, როცა დუალისტი უარყოფს მატერიას, ვითარცა ბოროტებას, ებრაელთა რელიგიური მატერიალიზმი აიძულებდა მათ ყურადღება დიდად გაემახვილებინათ მატერიალურ ბუნებაზე, მაგრამ არა იმისათვის, რომ მისთვის ემსახურათ, არამედ იმისათვის, რომ მისი მეშვეობით ემსახურათ ზეციერი ღმერთსათვის. ამ მატერიალურ ბუნებაში მათ უნდა განესხვავებინათ წმინდა უწმინდურისაგან, სუფთა მანკიერისაგან, რათა იგი (მატერიალური ბუნება - მთარგმნ.შენიშვნ.) ექციათ ღირსეულ ტაძრად ზეციერი არსებისათვის. წმინდა სხეულებრიობისა და ამ იდეის ხორცშესხმაზე ზრუნვის იდეა ისრაელის ცხოვრებაში შეუდარებლად დიდი ადგილი უკავია, ვიდრე სხვა რომელიმე ერის ცხოვრებაში. ამას მიეკუთვნება მოსეს რჯულის მნიშვნელოვანი ნაწილი წმინდისა და უწმინდურის გარჩევის შესახებ, ასევე, განწმენდის წესების შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ ებრაელთა მთელი რელიგიური ისტორია მიმართული იყო იქითკენ, რომ ისრაელის ღმერთისათვის მოემზადებინა არა მხოლოდ წმინდა სულები, არამედ წმინდა სხეულებიც. ახლა, თუ შევაჯერებთ ღვთაებრივი საწყისის მატერიალიზაციისაკენ იუდეველთა მისწრაფებას და ზრუნვას ჩვენი სხეულებრივი ბუნების გასუფთავებასა და განწმენდაზე, მაშ, ადვილად მივხვდებით, რატომ იყო სწორედ იუდაიზმი ყველაზე შესაფერისი მატერიალური გარემო ღვთაებრივი სიტყვის ხორცშესხმისათვის, რამეთუ გონებაც და ღვთისმოსაობაც მოითხოვს იმის აღიარებას, რომ ღვთაების განსხეულებისთვის, გარდა წმინდა და ქალწულებრივი სულისა, საჭირო იყო ასევე წმინდა და სუფთა სხეულებრიობა.

ახლა ნათელია, რომ ებრაელთა ეს წმინდა მატერიალიზმი არანაირად არ ეწინააღმდეგება, არამედ, პირიქით, პირდაპირი დამატებაა ამ ერის პირველი ორი თვისებისა - მისი ძლიერი რელიგიურობისა და ადამიანური თვითშემეცნებისა და თვითშემოქმედების ენერგიის. მორწმუნე ისრაელიანს სურს, რომ მისი რწმენის საგანს გააჩნდეს სინამდვილის მთელი სისრულე, ხორციელდებოდეს ბოლომდე; თავის მხრივ, ადამიანური სულის ენერგიას ანუ აქტიურობას არ შეუძლია დაკმაყოფილდეს იდეალთა თუ იდეათა განყენებული შინაარსით - ის მოითხოვს მათ რეალურ განხორციელებას, მოითხოვს, რომ სულიერი საწყისი ბოლომდე ეუფლებოდეს მატერიალურ სინამდვილეს, ეს კი გულისხმობს იმას, რომ თავად მატერიას უნდა გააჩნდეს ასეთი გასულიერების უნარი, გულისხმობს წმინდა და სულიერ სხეულებრიობას. ებრაელთა რელიგიური მატერიალიზმი მომდინარეობს არა ურწმუნოებისგან, არამედ უხვი რწმენისგან, რომელსაც აღსრულება სწყურია; მომდინარეობს არა ადამიანური სულის უძლურებისგან, არამედ მისი ძალისა და ენერგიისგან, რომელსაც არ ეშინია მატერიით გაუწმინდურება, არამედ განწმენდს და იყენებს მას საკუთარი მიზნებისათვის.

ამგვარად, ებრაელი ერის სამი მთავარი თვისების შერწყმული მოქმედება პირდაპირ შეესაბამებოდა ამ ერის უმაღლეს დანიშნულებას და ხელს უწყობდა მასში ღმერთის საქმის აღსრულებას. თვითარსი ღმერთისადმი მტკიცე რწმენით ისრაელმა საკუთარი თავისკენ მიიზიდა თეოფანია და გამოცხადება; ასევე საკუთარი თავისადმი რწმენის მეშვეობითაც ისრაელმა შეძლო იაჰვესთან პირადი ურთიერთობა დაემყარებინა, პირისპირ დამდგარიყო მასთან, შეთანხმება დაედო მასთან, ყოფილიყო მისთვის არა პასიური იარაღი, არამედ საქმიანი მოკავშირე, და ბოლოს, ამავე ქმედითი რწმენით, მატერიალური ბუნების განწმენდის მეშვეობით თავისი სულიერი საწყისის საბოლოო რეალიზაციისკენ სწრაფვით ისრაელმა მოამზადა თავის თავში სუფთა და წმინდა სამყოფელი ღმერთი-სიტყვის განსხეულებისათვის. აი, რატომ არის ისრაელი ღვთის რჩეული ერი, აი, რატომ იშვა ქრისტე იუდეაში.

თარგმანა ნინო ხუროშვილმა
icej.ge

ფეთქებადი სიტუაცია

ჰოლანდიის ებრაულმა ტელეარხმა—,,ოროთ" ფესახის წინ ინტერვიუ ჩამოართვა ამ ქვეყნის მთავარ რაბინს ბინიამინ იაკობს და ებრაული სააგენტოს თანამშრომელს მიხაილ ჰესს. ბინიამინ იაკობსმა ინტერვიუში განაცხადა, რომ ჰოლანდიის ებრაელები შიშობენ ადრინდელივით ვეღარ შევასრულებთ ჩვენს რელიგიურ ტრადიციებსაო. მთავარმა რაბინმა კონკრეტულად აღნიშნა: ბევრი ებრაელი თავთავიანთი სახლებიდან მეზუზას ხსნის, რადგან თავდასხმისა ეშინიათ. ნიდერლანდების სკოლებში ჰოლოკოსტის ისტორიის შესწავლა სავალდებულოა, მაგრამ ეს წესი თითქმის ნულამდეა დაყვანილი — ბევრმა მშობელმა და მოსწავლემაც კი, უარი განაცხადა ამ საგნის შესწავლაზე.

მიხეილ ჰესმა კი ინტერვიუში განაცხადა, რომ ანა ფრანკის, ან სხვა ებრაელთა ტრაგიკულ ყოფაზე გაკვეთილის ჩატარებისას მოსწავლეები გაზის მომაკვდინებელ საკნებში გაშვებული გაზის შიშინის ხმას გამოსცემენ და მასწავლებელს ხელს უშლიან სრულყოფილად ჩაატარონ გაკვეთილი — ამსტერდამის, როტერდამის, უტრეხტის და ჰოლანდიის სხვა ქალაქებში მოსწავლეთა უმეტესობა მუსლიმი ემიგრანტების შვილები არიან.

იციკ მოშე: ყველაზე მეტად მეშინია იმ მომენტის, როდესაც ფული ხდება მიზანი და არა საშუალება

საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატის ხელმძღვანელი იციკ მოშე Caucasus Business Week–თან საკუთარი ცხოვრების პრინციპებზე, ყველაზე საინტერესო გამოცდილებაზე და სამომავლო გეგმებზე საუბრობს

პროფესიით ვარ მაღალი ტექნოლოგიების ინჟინერი, ასევე განათლების მეცნიერებათა ბაკალავრი.

დავამთავრე თელავივის უნივერსიტეტის ინჟინერიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტები. ახალგაზრდობიდან აქტიურად ვიყავი ჩართული ისრაელის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ვარ ისრაელის პირველი წარმომადგენელი საბჭოთა კავშირში და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების პირველი წარმომადგენელი საქართველოში. 90-იანი წლების ბოლოს დიპლომატიური/წარმომადგენლობითი საქმიანობის შემდეგ პროფილი შევიცვალე და დავაარსე საქართველოში პირველი ორენოვანი (საქართველო-ისრაელის) ბიზნეს პალატა.

სამსახური ადვილად დავიწყე. პირველივე გასაუბრებაზე ამიყვანეს.

მუშაობა კოლეჯის პერიოდში დავიწყე, არდადეგებზე მტვირთავად მანქანის ფილტრების მწარმოებელ ქარხანაში. პირველი ოფიციალური და სერიოზული სამსახური კი იყო ელექტროკომუნიკაციების საერთაშორისო კომპანია „თადირანში“.

პირველი ხელფასით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვიყავი, პირველი ანაზღაურება 320$ გამომივიდა, თუმცა მე ამის მეათედიც კი გამახარებდა. ძალიან სასიამოვნო იყო იმის გაცნობიერება, რომ ხარ ფინანსურად დამოუკიდებელი და შეგაქვს

შენი წვლილი ოჯახის ბიუჯეტში.

ყველაზე კარგად ვმუშაობ გამთენიისას, 05:00-დან 08:00 საათამდე.

სამსახურში ყოველდღე, დილის 9 საათზე მივდივარ. პირველად კომპანიის ადმინისტრატორთან და მენეჯერთან ერთად განვიხილავ დღის წესრიგს და დილის 08:00 საათამდე ჩემ მიერ თანამშრომლებისთვის გაგზავნილ მეილებს, დავალებებს.

ვერასოდეს ვერ ვიმუშავებდი სავაჭრო სფეროში, რადგან უფრო მეტად მიყვარს შექმნა, ვიდრე სხვისი შექმნილით მანიპულირება და ყიდვა-გაყიდვა.

ყველაზე მთავარი ცხოვრებაში საკუთარ ქვეყნისთვის სარგებლის მოტანაა. ჩემთვის ეს ასეა.

ყველაზე მეტად მეშინია იმ მომენტის როდესაც ქრება ე.წ. „შინაგანი ძახილი“ და ქველმოქმედების სურვილი, როდესაც ფული ხდება მიზანი და არა საშუალება სხვა მიზნების მისაღწევად.

ხშირად მიფიქრია რისი გაკეთება მინდოდა და ვერ გავაკეთე. ვხვდები, რომ ამ მხრივ ალბათ, ცოტა მოსაწყენი პიროვნება ვარ, რადგან ჯერჯერობით რაც მიზნად დამისახავს, ყველაფერს მივაღწიე.

კარიერისთვის ყველაფერი დაშვებულია, რაც ზნეობრივ ჩარჩოებში ჯდება.

ქართველ ბიზნესმენებს ვურჩევდი, რომ შეისწავლონ ისრაელელი კოლეგების ბიზნეს კულტურა და ტერმინოლოგია, ასევე გააანალიზონ, რომ ინვესტორები და ტურისტები წარმოადგენენ ქვეყნის მეგობრებს და მათი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს განვითარების ამ ეტაპზე.

საქართველოში გვეძლევა შესაძლებლობა ბიზნესში თუ სხვადასხვა პროექტში სრულიად მოვახდინოთ საკუთარი „მე“-ს რეალიზება. სამწუხაროდ ბიზნესმენებს არ აქვთ ამის შესაძლებლობა ბევრ უფრო მეტად განვითარებულ, ევროპულ ქვეყნებში.

მოგზაურობა მიყვარს, როდესაც საქმე სამსახურებრივ მივლინებებს ეხება. ალბათ ამ მხრივაც მოსაწყენი ადამიანი ვარ, საქმის გარეშე მხოლოდ მოგზაურობით და დასვენებით სიამოვნებას ვერ ვიღებ.

ჟურნალისტებთან ურთიერთობა მიყვარს, როდესაც ჟურნალისტი კარგადაა მომზადებული.

საყვარელი კერძია ტირამისუ.

სპორტის საყვარელი სახეობა არ მაქვს იმიტომ, რომ სპორტის მოყვარული არ ვარ, ჩემთვის სპორტი (ამ შემთხვევაში გონებრივი) ჩემი სამსახურია.

commercant.ge

"მაშავის" მორიგი ღონისძიება იმერეთში

საქართველოში "მაშავის" მორიგი ღონისძიება გაიმართა. საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრების ექსპერტების, SEAS–სა (USAID) და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტი სხვადასხვა რეგიონის (იმერეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა) ოთხ მუნიციპალიტეტში ხორციელდება. ტრენინგის მთავარი თემა სათბურებში ბოსტნეულის მოყვანაა.

პროექტის პირველი ეტაპი ზესტაფონში ჩატარდა, სამ დღეს გაგრძელდა და ოთხშაბათს დასრულდა. ღონისძიებას სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით გალიგაშვილი, ისრაელის ელჩი საქართველოში, იუვალ ფუქსი, SEAS ხელმძღვანელი ბენ მიულერი, ზესტაფონის გამგებელი ტარიელ თუთარაშვილი და USAID-ს წარმომადგენლები დაესწრნენ.

იმერეთის ყველა მუნიციპალიტეტიდან ჩამოსულმა ოცდახუთმა ექსპერტმა ტრენინგის დროს დიდი ინტერესი გამოიჩინა. ელჩმა იუვალ ფუქსმა განაცხადა, რომ "მაშავი" ყოველთვის მზად იქნება მსგავსი პროექტების განსახორციელებლად, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას მუდამ შეუწყობს ხელს და ქართველ ექსპერტებს ისრაელის ტექნოლოგიებსა და ნოუ ჰაუს გაუზიარებს.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, ბატონმა გალიგაშვილმა ისრაელის საელჩოსა და "მაშავს" მადლობა გადაუხადა საქართველოს თანადგომისთვის, რომლის წყალობითაც ასოვით ფერმერი და ექსპერტი ყოველწლიურად ისრაელის ცოდნასა და გამოცდილებას ეზიარება.

მომდევნო ტრენინგები ხორბლის, სხვადასხვა მარცვლეული კულტურისა და მოსავლის აღების შემდგომი დამუშავების შესახებ აპრილსა და ივნისში გაიმართება.

მილიარდერთა რეიტინგი

ჟურნალი ,,ფორბსი“რეგულარულად აქვეყნებს მსოფლიოს უმდედრეს ადამიანთა რეიტინგს. 2016 წლის რეიტინგში ისრაელის პასპორტის მფლობელი რუსულად მოლაპარაკე მხოლოდ ოთხი ადამიანია მოხსენიებული: ვიაჩესლავ კანტორი, ალექსანდრე მაშკევიჩი, იგორ კოლომეისკი და ლევ ლევაევი. ამათგან მხოლოდ ერთი — კანტორი შევიდა ,,ოქროს ათასეულში“— იგი 2.7 მილიარდ დოლარს ფლობს და 688-ე ადგილზეა, მაშკევიჩს 1.5 მილიარდი აქვს და 1198-ე ადგილზეა, შარშან კი 847-ე ადგილზე იყო, რადგან 2.2 მილიარდი ჰქონდა. ,,ფორბსი“ კოლომეისკის უკრაინელ მდიდარ ადამიანად მოიხსენიებს და თავისი 1.5მილიარდით 1367-ე ადგილზეა, ლევაევი კი ერთი მილიარდი ქონებით 1694- ადგილს იკავებს.

13.4 მილიონი სტერლინგი ებრაელთა ობიექტების დასაცავად

დიდი ბრიტანეთის მთავრობა 13.4 მილიონ სტერლინგს (19 მილიონი აშშ დოლარი) გამოჰყოფს მთელ ბრიტანეთში ებრაელთა ობიექტების დასაცავად.

დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ტერეზა მეიმ განაცხადა, რომ ეს თანხები გაიხარჯებადაცვის დამატებითი მუშაკების და უსაფრთხოების სხვა ღონისძიებებისათვის, რომელმაც მთელ ბრიტანეთში უნდა უზრუნველყოს ებრაული სკოლების, საბავშვო ბაღების, რელიგიური დანესებულებების დაცვა ტერორისტთა თავდასხმებისაგან.

— რასაკვირველია, ჩვენ ვამჯობინებდით, რომ ეს თანხა სხვა საჭიროებებისათვის ყოფილიყო მგამოყენებული, მაგრამ როცა შექმნილი მდგომარეობა გვაიძულებს ასე მოვიქცეთ — განაცხადა ებრაული თემის ხელმძღვანელმა დავით დელიმ.

სარჩელი უნგრეთის მთავრობის წინააღმდეგ

14 უნგრელმა ებრაელმა,რომლებმაც თავად განიცადეს ჰოლოკოსტის საშინელებანი, აშშ სასამართლოში შეიტანეს წარმომადგენლობითი სარჩელი უნგრეთის მთავრობისა და უნგრეთის რკინიგზის კომპანიის წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის წლებში ებრაელთა სიკვდილის ბანაკებში დეპორტაციისას გერმანელ ფაშისტებთან თანამშრომლობი გამო.

ევროპის სახელმწიფოთაგან უნგრეთი ჯერჯერობით ერთადერთია,რომელიც არ თანხმდება კომპენსაცია გადაუხადოს ხორტის ფაშისტური ხელისუფლების მიერ დაზარალებულ ებრაელობას.

ძიების ადვოკატები აღნიშნავენ, რომ სარჩელში არ არის მითითებული, თუ რა თანხა უნდა გადაიხადოს უნგრეთის ხელისუფლებამ, თუმცა, იმას კი აღნიშნავენ, რომ ლაპარაკია საკმაოდ მოზრდილ თანხაზე და იგი გადაირიცხება უნგრეთის ფაშისტური ხელისუფლების მიერ დაზარალებული ებრაელების დახმარების ფონდში.

პროცესში ჩართული გახლავან საერთაშორისო ებრაული ორგანიზაციები.

დღეს ისრაელში ოფაკიმის კიბუცში მცხოვრებმა ერთ-ერთმა მოსარჩელემ 85 წლის ზეევ რამიმ, რომელმაც ოსვენციმისა და ბერგენ ბელზენის საშინელებანი თავად გადაიტანა, ჟურნალისტებთან საუბარში თქვა:

— უნგრეთის ჭეშმარიტი პატრიოტების ებრაულ ოჯახში გავიზარდე, მაგრამ იმის შემყურე, უნგრელი ფაშისტები ჰოლოკოსტის წლებში თუ როგორ ექცეოდნენ თავთავიანთ ებრაელ თანამემამულეებს, ჩემი ყოფილი სამშობლოსადმი დამოკიდებულება სრულიად შემეცვალა. ქვეყანა, რომელიც ასე მოიქცა, თავისი ქმედების გამო უნდა დაისაჯოს.

რაბინ საქსს ტემპლტონის პრემია

დიდი ბრიტანეთის ყოფილ მთავარ რაბინს ლორდ საქსს 2016 წლის ტემპლტონის პრემია მიენიჭა. ეს არის დიდ ბრიტანეთში ერთ-ერთი პრესტიჟული პრემია და ერთ მილიონ ფუნტ სტერლინგში გამოიხატება. ეს პრემია დაწესდა ინვესტორისა და ფილანტროპის სერ ჯონ ტემპლტონის პატივსაცემად და მიენიჭებათ ცხოვრების სულიერი განზომილების დამკვიდრებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

67 წლის რაბინი პენსიაზე გავიდა 2013 წელს, მაგრამ კვლავ განსაკუთრებულ როლს თამაშობს ქვეყნის ებრაული თემის განვითარების საქმეში. თემის წევრებს შორის მისი ქადაგებანი, გამოსვლები დიდი პოპულარობით სარგებლობს, ხოლო მისი წიგნების დიდი ტირაჟი იყიდება.

ლორდმა საქსმა განაცხადა:

— ამ პრემიის მიღება ჩემი ცხოვრების უდიდესი მომენტია. გაკვირვებული და მადლობელი ვარ, არა მხოლოდ პრემიის გამო, იმის გამოც, ვის სახელსაც ეს პრემია ატარებს.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ა,
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003